სს „ლილო 1“

# ფინანსური ანგარიშგება და
# დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

2022 წლის 31 დეკემბერი

| | |
|---|---|
| დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა | 3-5 |
| ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება | 6 |
| სრული შემოსავლის ანგარიშგება | 7 |
| კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება | 8 |
| ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება | 9 |
| შენიშვნები ფინანსურ ანგარიშგებაზე | 10 |
| **ბოლო გვერდი** | **31** |

## დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

*სს „ლილო 1-ს“ მფლობელებს და ხელმძღვანელობას:*

*ფინანსური ანგარიშგების დასკვნა*

### *პირობითი მოსაზრება*

ჩვენ ჩავატარეთ აუდიტი ორგანიზაცია სს „ლილო 1-ს“ (შემდეგში „კომპანია“) ფინანსური ანგარიშგებისა, რომელიც შედგება 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, ამავე თარიღში დამთავრებული წლის სრული შემოსავლის, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების და ფულადი ნაკადების ანგარიშგებებისგან, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისგან, რომელთა შორისაა ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა.

ჩვენი აზრით, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2022 წლის 31 დეკემბრისთვის, აგრეთვე მის ფინანსურ საქმიანობას და ფულადი სახსრების მოძრაობას აღნიშნულ თარიღში დასრულებული წლისთვის, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (IFRS) შესაბამისად.

### *პირობითი მოსაზრების საფუძველი*

ჩვენ ვერ დავაკვირდით სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების ფიზიკურ დათვლას და ვერ შევძელით მათი რაოდენობების ალტერნატიული გზით დადგენა. აღნიშნულიდან გამომდინარე ვერ დავადასტურეთ 2022 წლის 31 დეკემბრისათვის არსებული სასაქონლო მატერიალური ფასეულობების სისწორე, რაც ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ასახული იყო 85 ათასი ლარის ღირებულებით. შედეგად ჩვენ ვერ შევძელით იმის განსაზღვრა საჭირო იყო თუ არა რაიმე სახის კორექტირებების განხორციელება სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების, რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულებასა და მათთან დაკავშირებული ფულადი სახსრების მოძრაობასთან მიმართებაში.

ჩვენ აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ISA) შესაბამისად. ჩვენი ვალდებულებები აღნიშნული სტანდარტების მიხედვით, უფრო დეტალურად აღწერილია ჩვენი ანგარიშის ფინანსური ანგარიშგებების განყოფილებაში დასახელებით - აუდიტორის ვალდებულებები ფინანსური ანგარიშგებების აუდიტისთვის. ჩვენ ვართ კომპანიისგან დამოუკიდებელი პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის კოდის (IESBA Code) ეთიკის სტანდარტების საერთაშორისო საბჭოს და საქართველოში არსებულ ჩვენს აუდიტთან დაკავშირებული ეთიკის მოთხოვნების შესაბამისად და აღნიშნული მოთხოვნების (და IESBA კოდის) შესაბამისად ვასრულებთ ჩვენ ეთიკურ მოვალეობებს. ჩვენი აზრით, ჩვენს მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულება შესაბამისია და საკმარის საფუძველს იძლევა ჩვენი პირობითი მოსაზრების წარმოსადგენად.

### *მენეჯმენტის და ფინანსური ანგარიშების მართვაზე პასუხისმგებელი პირების პასუხისმგებლობები*

მენეჯმენტი პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშების მომზადებასა და სამართლიან წარმოდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების და იმ შიდა კონტროლის შესაბამისად, რასაც მენეჯმენტიჩათვლის საჭიროდ ფინანსური ანგარშგების მატერიალური შეცდომების გარეშე მოსამზადებლად, იქნება ეს განზრახ თუ უნებლიედ გამოწვეული.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში

განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასა და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მართვაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებელნი არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების პროცესის ზედამხედველობაზე.

***აუდიტის პასუხისმგებლობები ფინანსური ანგარიშების აუდიტისთვის***

ჩვენი მიზანია, მივიღოთ გონივრული მტკიცებულება იმისა, რომ ფინანსური ანგარიშები მთლიანად თავისუფალია უნებლიე თუ განზრახ დაშვებული არსებითი უზუსტობებისგან, და გავცეთ აუდიტის დასკვნა, სადაც მოცემულია ჩვენი პირობითი მოსაზრება. გონივრული მტკიცებულება არის მტკიცებულების მაღალი დონე, მაგრამ არ არის გარანტია, რომ ISA-ს შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის აღმოაჩენს არსებით ცდომილებას, ასეთის არსებობის დროს. ცდომილება შესაძლოა წარმოიშვას თაღლითობის ან შეცდომის გამო და მიიჩნევა არსებითად, თუკი მოსალოდნელია, რომ ერთობლივად ან ცალკ-ცალკე, გავლენას იქონიებს მომხმარებელთა მიერ აღნიშნულ ფინანსურ ანგარიშგებაზე დაყრდნობით მიღებულ ეკონომიკურ გადაწყვეტილებაზე.

როგორც აუდიტის ნაწილი ISA-სთან შესაბამისად, ჩვენ ვიყენებთ პროფესიონალურ განსჯას და ვინარჩუნებთ პროფესიონალურ სკეპტიციზმს აუდიტის განმავლობაში. ასევე:

- ვადგენთ და ვაფასებთ ფინანსური ანგარიშების განზრახ ან უნებლიედ დაშვებული არსებითი ცდომილების რისკებს, აღნიშნული რისკების საპასუხოდ შევიმუშავებთ და ვასრულებთ აუდიტის პროცედურებს და მოვიპოვებთ ჩვენი მოსაზრებისათვის საკმარისი საფუძველის და შესაბამის აუდიტის მტკიცებულებას. თაღლითობისგან წარმოშობილი არსებითი ცდომილების ვერ აღმოჩენის რისკი უფრო მაღალია, ვიდრე შეცდომის შედეგად წარმოშობილი არსებითი ცდომილებისა, რადგან თაღლითობა შესაძლოა მოიცავდეს საიდუმლო მორიგებას, გაყალბებას, არასწორ ინტერპრეტაციას ან შიდა კონტროლის მექანიზმების დარღვევას/უარყოფას;
- გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის შესაბამისობა და სააღრიცხვო შეფასებების და მენეჯმენტის მიერ მათთან დაკავშირებული განმარტებითი შენიშვნების გონივრულობის შეფასება.
- სააღრიცხვო მიზნებისათვის მენეჯმენტის მიერ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების გამოყენების შესაბამისობის შეფასება და მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულების საფუძველზე, აზრის გამოთქმა არსებობს თუ არა მნიშვნელოვანი უზუსტობა იმ მოვლენებსა და პირობებთან დაკავშირებით, რომლებმაც შესაძლოა მნიშვნელოვანი ეჭვის ქვეშ დააყენოს კომპანიის ფუნქციონირებადი საწარმოს სტატუსი.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგებების ზოგად წარმოდგენას, სტრუქტურას და შინაარსს, განმარტებითი შენიშვნების ჩათვლით. თუ რამდენად სამართლიანად ასახავს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებები იმ ტრანზაქციებს და მოვლენებს, რომლის საფუძველზეც მოხდა მათი მომზადება.

სხვა საკითხების განხილვა მენეჯმენტთან არ მომხდარა.

***დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე***

კომპანიის ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია მმართველობის ინდივიდუალური ანგარიშგების წარდგენაზე. მმართველობის ინდივიდუალური ანგარიშგება მოიცავს ინფორმაციას კომპანიის საქმიანობის შესახებ, რისკების ანალიზს, სამომავლო გეგმებსა და სხვა ინფორმაციას, ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის შესაბამისად.

ჩვენ მიერ ჩატარებულ ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავეცნოთ ზემოაღნიშნულ მმართველობის ინდივიდუალურ ანგარიშგებას და განვიხილოთ, არის თუ არა მმართველობის ინდივიდუალურ ანგარიშგება არსებითად შეუსაბამო ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებასთან, ან აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია და წარვადგინოთ შესაბამისი ანგარიში.

დამატებით, ჩვენი ვალდებულებაა გამოვთქვათ მოსაზრება მომზადებულია თუ არა მმართველობის ინდივიდუალური ანგარიშგება "ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად და მოიცავს თუ არა ის ყველა მოთხოვნილ ინფორმაციას. თუ ჩატარებული პროცედურების საფუძველზე დავასკვნით, რომ მმართველობის ინდივიდუალური ანგარიშგება მოიცავს არსებით უზუსტობებს, ჩვენ ვალდებულები ვართ განვაცხადოთ ამ ფაქტზე და უზუსტობის არსზე, ჩვენ არ გაგვაჩნია საფუძველი გავაკეთოთ მოხსენება ამ საკითხთან დაკავშირებით. ჩვენს მიერ შესრულებული სამუშოების მიხედით, ყველა მატერიალური ასპექტის გათვალისწინებით, ვაცხადებთ:

- მმართველობის ინდივიდუალურ ანგარიშგებაში ასახული ინფორმაცია იმ ფინანსური წლისთვის, რომლისთვისაც მომზადებულია ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება, შეესაბამება ინდივიდუალური ფინანსურ ანგარიშგებას; და
- მმართველობის ინდივიდუალური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მიხედვით და შეიცავს ამ კანონით მოითხოვნილ სრულ ინფორმაციას.

ჩვენ ასევე მივაწოდეთ მენეჯმენტს განცხადება, რომ ვაკმაყოფილებთ შესაბამის ეთიკურ მოთხოვნებს დამოუკიდებლობასთან დაკავშირებთ და მივაწოდეთ ინფორმაცია ყველა კავშირზე და საკითხზე, რაც შესაძლოა ჩაითვალოს ჩვენი დამოუკიდებლობის საკითხისთვის მნიშვნელოვნად.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულება შესაბამისია და საკმარის საფუძველს იძლევა აუდიტის პირობითი მოსაზრების ჩამოსაყალიბებლად.

აუდიტის შემოწმების ხელმძღვანელი, რომელმაც შეადგინა წინამდებარე დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა არის გოჩა ჭოლოკავა (SARAS-A-374286).

სს ფი-ქეი-ეფ კაიზენი (SARAS-F-798362)
28 სექტემბერი, 2023
თბილისი, საქართველო

PKF KAIZEN JSC

ჩვენ მიერ ჩატარებულ ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავეცნოთ ზემოაღნიშნულ მმართველობის ინდივიდუალურ ანგარიშგებას და განვიხილოთ, არის თუ არა მმართველობის ინდივიდუალურ ანგარიშგება არსებითად შეუსაბამო ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებასთან, ან აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია და წარვადგინოთ შესაბამისი ანგარიში.

დამატებით, ჩვენი ვალდებულებაა გამოვთქვათ მოსაზრება მომზადებულია თუ არა მმართველობის ინდივიდუალური ანგარიშგება "ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად და მოიცავს თუ არა ის ყველა მოთხოვნილ ინფორმაციას. თუ ჩატარებული პროცედურების საფუძველზე დავასკვნით, რომ მმართველობის ინდივიდუალური ანგარიშგება მოიცავს არსებით უზუსტობებს, ჩვენ ვალდებულები ვართ განვაცხადოთ ამ ფაქტზე და უზუსტობის არსზე, ჩვენ არ გაგვაჩნია საფუძველი გავაკეთოთ მოხსენება ამ საკითხთან დაკავშირებით. ჩვენს მიერ შესრულებული სამუშოების მიხედით, ყველა მატერიალური ასპექტის გათვალისწინებით, ვაცხადებთ:

- მმართველობის ინდივიდუალურ ანგარიშგებაში ასახული ინფორმაცია იმ ფინანსური წლისთვის, რომლისთვისაც მომზადებულია ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება, შეესაბამება ინდივიდუალური ფინანსურ ანგარიშგებას; და
- მმართველობის ინდივიდუალური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მიხედვით და შეიცავს ამ კანონით მოითხოვნილ სრულ ინფორმაციას.

ჩვენ ასევე მივაწოდეთ მენეჯმენტს განცხადება, რომ ვაკმაყოფილებთ შესაბამის ეთიკურ მოთხოვნებს დამოუკიდებლობასთან დაკავშირებთ და მივაწოდეთ ინფორმაცია ყველა კავშირზე და საკითხზე, რაც შესაძლოა ჩაითვალოს ჩვენი დამოუკიდებლობის საკითხისთვის მნიშვნელოვნად.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულება შესაბამისია და საკმარის საფუძველს იძლევა აუდიტის პირობითი მოსაზრების ჩამოსაყალიბებლად.

აუდიტის შემოწმების ხელმძღვანელი, რომელმაც შეადგინა წინამდებარე დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა არის გოჩა ჭოლოკავა (SARAS-A-374286).

სს ფი-ქეი-ეფ კაიზენი (SARAS-F-798362)
28 სექტემბერი, 2023
თბილისი, საქართველო

სს ფი-ქეი-ეფ კაიზენი * PKF KAIZEN JSC * 205198212 *

**სს „ლილო 1“**
**ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით**
**(ათასი ლარი)**

| | შენიშვნა | 31-დეკ-2022 | 31-დეკ-2021 |
|---|---|---|---|
| **აქტივები** | | | |
| **გრძელვადიანი აქტივები** | | | |
| ძირითადი საშუალებები | **5** | 1,023 | 647 |
| საინვესტიციო ქონება | **6** | 67,096 | 34,411 |
| არამატერიალური აქტივები | **16** | 113 | 110 |
| **სულ გრძელვადიანი აქტივები** | | **68,232** | **35,168** |
| | | | |
| **მიმდინარე აქტივები** | | | |
| სასაქონლო-მატერიალური მარაგები | **7** | 85 | 157 |
| სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება | **8** | 1,314 | 679 |
| ავანსები მომწოდებლებისთვის | | 58 | 21 |
| საგადასახადო აქტივი | | - | - |
| სხვა მიმდინარე აქტივები | | - | 652 |
| ფული და ფულის ექვივალენტები | **9** | 758 | 1,217 |
| **სულ მიმდინარე აქტივები** | | **2,215** | **2,726** |
| **სულ აქტივები** | | **70,447** | **37,894** |
| | | | |
| **კაპიტალი** | | | |
| გამოშვებული კაპიტალი | **10** | 19,836 | 19,836 |
| გაუნაწილებელი მოგება/აკუმულირებული ზარალი | | (32,557) | (33,730) |
| გადაფასების რეზერვი | | 64,943 | 31,999 |
| **სულ კაპიტალი** | | **52,222** | **18,105** |
| | | | |
| **გრძელვადიანი ვალდებულებები** | | | |
| გრძელვადიანი სესხები | **15** | 17,961 | 19,529 |
| **სულ გრძელვადიანი ვალდებულებები** | | **17,961** | **19,529** |
| | | | |
| **მიმდინარე ვალდებულებები** | | | |
| სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება | **11** | 207 | 120 |
| მიღებული ავანსები | | 43 | 28 |
| საგადასახადო ვალდებულება | | 14 | 112 |
| **სულ მიმდინარე ვალდებულებები** | | **264** | **260** |
| **სულ კაპიტალი და ვალდებულება** | | **70,447** | **37,894** |

**ხელმომწერი პირები:**

**ფინანსური დირექტორი**

28 სექტემბერი, 2023 წელი
თბილისი, საქართველო

შენიშვნები გვერდებზე 10-31 წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს. დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა მოცემულია გვერდებზე 3-5.

*სს ლილო 1*

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

(თანხები მოცემულია ათას ლარში)

| | შენიშვნა | 31-დეკ-2022 | 31-დეკ-2021 |
|---|---|---|---|
| **აქტივები** | | | |
| **გრძელვადიანი აქტივები** | | | |
| ძირითადი საშუალებები | 5 | 1,023 | 647 |
| საინვესტიციო ქონება | | 67,096 | 34,411 |
| არამატერიალური აქტივები | | 113 | 110 |
| **სულ გრძელვადიანი აქტივები** | | **68,232** | **35,168** |
| | | | - |
| **მიმდინარე აქტივები** | | | - |
| სასაქონლო-მატერიალური მარაგები | 6 | 85 | 157 |
| სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება | 7 | 1,314 | 679 |
| ავანსები მომწოდებლებისთვის | | 58 | 21 |
| საგადასახადო აქტივი | | - | - |
| სხვა მიმდინარე აქტივები | | - | 652 |
| ფული და ფულის ექვივალენტები | 8 | 758 | 1,217 |
| **სულ მიმდინარე აქტივები** | | **2,215** | **2,726** |
| **სულ აქტივები** | | **70,447** | **37,894** |
| | | | - |
| **კაპიტალი** | | | - |
| გამოშვებული კაპიტალი | 9 | 19,836 | 19,836 |
| გაუნაწილებელი მოგება/აკუმულირებული ზარალი | | (32,557) | (33,730) |
| გადაფასების რეზერვი | | 64,943 | 31,999 |
| **სულ კაპიტალი** | | **52,222** | **18,105** |
| | | | - |
| **გრძელვადიანი ვალდებულებები** | | | - |
| გრძელვადიანი სესხები | | 17,961 | 19,529 |
| **სულ გრძელვადიანი ვალდებულებები** | | **17,961** | **19,529** |
| | | | - |
| **მიმდინარე ვალდებულებები** | | | - |
| სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება | 11 | 207 | 120 |
| მიღებული ავანსები | 10 | 43 | 28 |
| საგადასახადო ვალდებულება | | 14 | 112 |
| **სულ მიმდინარე ვალდებულებები** | | **264** | **260** |
| **სულ კაპიტალი და ვალდებულება** | | **70,447** | **37,894** |

* 2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2023 წლის 28 სექტემბერს შემდეგი პირების მიერ:

დირექტორი

დავით ბეგიაშვილი

LLCM 1 Logistic Center 206268741

| | შენიშვნები | 31-დეკ-2022 | 31-დეკ-2021 |
|---|---|---|---|
| შემოსავალი | 13 | 9,661 | 11,842 |
| ხელფასები და თანამშრომელთა სხვა ანაზღაურება | | (1,752) | (3,095) |
| ცვეთა და ამორტიზაცია | | (2,119) | (1,925) |
| სხვა საოპერაციო ხარჯები | 12 | (2,363) | (3,045) |
| **საოპერაციო შემოსავალი** | | **3,427** | **3,777** |
| | | | |
| საპროცენტო ხარჯი | 11 | (2,304) | (1,888) |
| საპროცენტო შემოსავალი | | 194 | 110 |
| სხვა შემოსავლები | | 2 | 1 |
| სხვა არასაოპერაციო შემოსავლები | | - | - |
| საკურსო სხვაობით გამოწვეული ზარალი/მოგება | | 19 | - |
| რეზერვების ხარჯები | | - | (60) |
| სხვა ხარჯები, წმინდა | | (165) | (16) |
| **მოგება / (ზარალი) დაბეგვრამდე** | | **1,173** | **1,924** |
| მიმდინარე მოგების გადასახადის ხარჯი | | - | - |
| **წმინდა მოგება** | | **1,173** | **1,924** |

**ხელმომწერი პირები:**

**ფინანსური დირექტორი**

28 სექტემბერი, 2023 წელი
თბილისი, საქართველო

შენიშვნები გვერდებზე 10-31 წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს. დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა მოცემულია გვერდებზე 3-5.

*სს ლილო 1*

სრული შემოსავლის ანგარიშგება

(თანხები მოცემულია ათას ლარში)

| | *შენიშვნა* | *31-დეკ-2022* | *31-დეკ-2021* |
|---|---|---|---|
| *შემოსავალი* | **12** | 9,818 | 11,842 |
| *ხელფასები და თანამშრომელთა სხვა ანაზღაურება* | | (1,752) | (3,095) |
| *ცვეთა და ამორტიზაცია* | | (2,119) | (1,925) |
| *სხვა საოპერაციო ხარჯები* | | (2,511) | (3,045) |
| ***საოპერაციო შემოსავალი*** | | **3,437** | **3,777** |
| *საპროცენტო ხარჯი* | **11** | (2,304) | (1,888) |
| *საპროცენტო შემოსავალი* | | 17 | 110 |
| *სხვა შემოსავლები* | | 5 | 1 |
| *საკურსო სხვაობით გამოწვეული ზარალი/მოგება* | | 19 | - |
| *რეზერვების ხარჯები* | | | (60) |
| *სხვა ხარჯები, წმინდა* | | | (16) |
| ***მოგება / (ზარალი) დაბეგვრამდე*** | | **1,173** | **1,924** |
| *მიმდინარე მოგების გადასახადის ხარჯი* | | - | - |
| ***წმინდა მოგება*** | | **1,173** | **1,924** |

* 2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2023 წლის 28 სექტემბერს შემდეგი პირების მიერ:

*დირექტორი*

*დავით ბეგიაშვილი*

LLC 1 Logistic Center 206268741

**კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით**
**(ათასი ლარი)**

| | საწესდებო კაპიტალი | გაუნაწილებელი მოგება/ზარალი | სულ |
|---|---|---|---|
| **ბალანსი 31.12.2020** | **19,836** | **(23,922)** | **(4,086)** |
| პერიოდის შედეგი | - | 1,924 | 1,924 |
| კაპიტალის ზრდა | - | - | - |
| გადაფასების რეზერვი | - | 20,267 | 20,267 |
| **ბალანსი 31.12.2021** | **19,836** | **(1,731)** | **18,105** |
| პერიოდის შედეგი | - | 1,173 | 1,173 |
| კაპიტალის ზრდა | - | - | - |
| გადაფასების რეზერვი | - | 32,944 | 32,944 |
| **ბალანსი 31.12.2022** | **19,836** | **32,386** | **52,222** |

**ხელმომწერი პირები:**

**ფინანსური დირექტორი**

28 სექტემბერი, 2023 წელი
თბილისი, საქართველო

შენიშვნები გვერდებზე 10-31 წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს. დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა მოცემულია გვერდებზე 3-5.

*სს ლილო 1*

კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება

(თანხები მოცემულია ათას ლარში)

| | | | |
|---|---|---|---|
| **ბალანსი 31.12.2020** | **19,836** | **(23,922)** | **(4,086)** |
| პერიოდის შედეგი | - | 1,924 | 1,924 |
| კაპიტალის ზრდა | - | - | - |
| გადაფასების რეზერვი | - | 20,267 | 20,267 |
| **ბალანსი 31.12.2021** | **19,836** | **(1,731)** | **18,105** |
| პერიოდის შედეგი | - | 1,173 | 1,173 |
| კაპიტალის ზრდა | - | - | - |
| გადაფასების რეზერვი | - | 32,944 | 32,944 |
| **ბალანსი 31.12.2022** | **19,836** | **32,386** | **52,222** |

* 2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2023 წლის 28 სექტემბერს შემდეგი პირების მიერ:

დირექტორი

დავით ბეგიაშვილი

LLCM 1 Logistic Center 206268741

სს „ლილო 1“
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბერი
(ათასი ლარი)

| | შენიშვნები | 31-დეკ-2022 | 31-დეკ-2021 |
|---|---|---|---|
| **ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან** | | | |
| მოგება გადასახადამდე | | 1,173 | 1,924 |
| კორექტირებები: | | | |
| ცვეთა და ამორტიზაცია | | (2,119) | (1,925) |
| საკურსო მოგება/ზარალი(ნეტო) | | 19 | - |
| საპროცენტო ხარჯი | | (2,304) | (1,888) |
| საპროცენტო შემოსავალი | | 194 | 110 |
| **მოგება/ზარალი საოპერაციო საქმიანობიდან საბრუნავი კაპიტალის ცვლილებამდე** | | **(3,037)** | **(1,779)** |
| ზრდა/შემცირება სასაქონლო მატერიალურ მარაგებში | | 72 | (7) |
| ზრდა/შემცირება სავაჭრო და სხვა მოთხოვნებში | | (635) | 238 |
| ზრდა/შემცირება სავაჭრო და სხვა ვალდებულებებში | | 87 | (243) |
| ზრდა/შემცირება მიღებულ ავანსებში | | 15 | 1 |
| ზრდა/შემცირება საგადასახადო აქტივებში | | - | - |
| ზრდა/შემცირება საგადასახადო ვალდებულებებში | | (98) | (75) |
| ზრდა/შემცირება სხვა მიმდინარე აქტივებში | | 652 | (651) |
| ზრდა/შემცირება წინასწარ გაწეულ ხარჯებში | | (37) | (6) |
| **სამუშაო კაპიტალის ცვლილება** | | **56** | **(743)** |
| მოგების გადასახადი | | - | - |
| **წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან** | | **(2,981)** | **(2,522)** |
| **ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან** | | | |
| ძირითადი საშუალებებსა შეძენა | | 1,743 | 9,381 |
| არამატერიალური აქტივები | | (3) | (2) |
| საინვესტიციო ქონების შეძენა | | (32,879) | (30,865) |
| **სულ ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან** | | **(31,139)** | **(21,486)** |
| ***ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან*** | | | |
| მიღებული სესხები | | 736 | 4,326 |
| გადაფასების რეზერვი | | 32,943 | 20,267 |
| გადახდილი დივიდენდი დედა კომპანიისთვის | | - | - |
| ***სულ ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან*** | | **33,679** | **24,593** |
| *საკურსო სხვაობის ცვლილების გავლენა* | | (18) | - |
| **ფული და ფულის ექვივალენტების ზრდა/კლება** | | **(441)** | **585** |
| **ფული და ფულის ექვივალენტები პერიოდის დასაწყისში** | | **1,217** | **632** |
| **ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები წლის ბოლოს** | | **758** | **1,217** |

ხელმომწერი პირები:

ფინანსური დირექტორი

28 სექტემბერი, 2023 წელი
თბილისი, საქართველო

## 1. შესავალი

*კომპანია და მისი საქმიანობა*

სს ,,ლილო 1“ არის სააქციო საზოგადოება, რომელიც დაფუძნებულია და ფუნქციონირებს საქართველოში, საქართველოს კანონმდებლობების შესაბამისად. რეგისტრაციის და ფაქტიური მისამართია: საქართველო, ქ. თბილისი, ისანი-სამგორის რაიონი, იუმაშევის ქ., №14. კომპანიის საიდენტიფიკაციო ნომერია
206268741, რეგისტრაციის თარიღი - 2006 წლის 28 დეკემბერი.

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის 100% -ს ფლობს Linnaeus Capital Partners B.V და კომპანიის საბოლოო მფლობელი იყო ნატალია ზოლოტოვა 100%-ს საკუთრების წილით Linnaeus Capital Partners B.V - ში. 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით Linnaeus Capital B.V. მ გაასხვისა ქონება შპს შარმ თრეიდინგსა და შპს ჯი დი აი კომპანიზე რაც უცვლელი დარჩა 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს საწყობების და საბაჟო ტერმინალების იჯარით გაცემა და სასაწყობე მომსახურების უზრუნველყოფა. კომპანიის ყოველდღიურ საქმიანობას მართავს კომპანიის დირექტორი - დავით ბეგიაშვილი.

*წარმოდგენილი ანგარიშის ვალუტა*

კომპანიის ფუნქციონალურ ვალუტას წარმოადგენს საქართველოს ეროვნული ვალუტა - ქართული ლარი (GEL). ოპერაციები უცხოურ ვალუტაში, თავდაპირველად ჩაიწერება ფუნქციონალურ ვალუტაში ოპერაციის დღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრული კურსით. ანგარიშის პერიოდისთვის უცხოურ ვალუტაში არსებული ფულადი აქტივები გადაიყვანება ფუნქციონალურ ვალუტაში საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი წლის ბოლოს არსებული კურსით. ანგარიშსწორებისას წარმოქმნილი ყველა საკურსო სხვაობა აისახება მოგება-ზარალზე.

უცხოური ვალუტის მონეტარული ნაშთების კონვერტირებისათვის გამოყენებული გაცვლითი კურსები არის შემდეგი:

| | 31 დეკ -22 | 31 დეკ -21 |
|---|---|---|
| 1 USD/GEL | 2.7020 | 3.0976 |
| 1 EUR/GEL | 2.8844 | 3.5040 |

## 2. მომზადების საფუძვლები და სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები

### მომზადების საფუძვლები

*შესაბამისობის პრინციპი*
აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებები მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაშვებით და ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (IFRS) 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ძალაში მყოფი საერთაშორისო სააღრიცხვო სტანდარტების საბჭოს (IASB) მიერ გამოცემული სტანდარტების და ინტერპრეტაციების შესაბამისად. ეს არ არის კომპანიის მიერ პირველად მომზადებული ფინანსური ანგარიშგებები.

ფინანსური ანგარიშგებები შედგება სრული შემოსავლის ანგარიშგების, ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების, კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგების, ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებების და განმარტებითი შენიშვნებისგან 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. ასევე მოიცავს შესადარის ინფორმაციას 2021 წლის 31 დეკემბრამდე.

რადგან 2022 წლის 31 დეკემბრისთვის ძალაში მყოფი სტანდარტები და ინტერპრეტაციები შეიძლება შეიცვალოს ბასს-ის (IASB) ან საერთაშორისო ფინანსური ანგარიშგების ინტერპრეტაციის კომიტეტის (IFRIC) მიერ, მენეჯმენტი არ გამორიცხავს ალბათობას, რომ საბოლოო ფინანსური ანგარიშგების შედგენამდე საჭირო გახდეს ფინანსური ანგარიშგებების კორექტირება ამ ცვლილებების გამო.

*შეფასების საფუძველი*
შეფასების საფუძვლად გამოყენებულია ისტორიული ღირებულების საფუძველი. გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ქვემოთ მოცემული სააღრიცხვო პოლიტიკით სხვაგვარად არის განსაზღვრული.

*ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება*
მენეჯმენტმა მოამზადა აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებები ფუნქციონირებადი საწარმოს განგრძობითობის რისკის დაშვებით. აღნიშნული გადაწყვეტილების მისაღებად მენეჯმენტმა გაითვალისწინა კომპანიის ფინანსური მდგომარეობა, მიმდინარე გეგმები, ფულადი სახსრების მოძრაობა, კომპანიის ოპერაციების წამგებიანობა და საჭიროების შემთხვევაში ადგილობრივ ფინანსურ რესურსებზე წვდომა, ანგარიშის პერიოდის შემდგომ მინიმუმ 12 თვის განმავლობაში.

*ფინანსური ინსტრუმენტები - ძირითადი შეფასების პირობები*
კლასიფიკაციის გათვალისწინებით, როგორც ეს ქვემოთ არის აღწერილი, ფინანსური ინსტრუმენტები აღირიცხება რეალური ან ამორტიზებული ღირებულებით.

რეალური ღირებულება არის ის თანხა, რა თანხადაც შესაძლოა აქტივის გადაცვლა/რეალიზება ან ვალდებულების გადახდა, ნებაყოფლობით თანაბარი ინფორმაციის მქონე ორ მხარეს შორის გაშლილი ხელის მანძილის პირობებში. რეალური ღირებულება არის ფინანსური აქტივების მიმდინარე შეთავაზების ფასი და მოქმედ ბაზარზე მოვაჭრე ფინანსური ვალდებულებების მიმდინარე მოთხოვნილი ფასი. იმ აქტივებისთვის და ვალდებულებებისთვის, რომლებიც აბათილებენ ერთმანეთის საბაზრო რისკს, კომპანიას შეუძლია გამოიყენოს საშუალო საბაზრო ფასი რისკის პოზიციის გაქვითვისათვის რეალური ღირებულებების განსაზღვრისას და მიუსადაგოს შეთავაზების ან მოთხოვნის ფასი სუფთა ღია პოზიციას. ფინანსური ინსტრუმენტები აღებულია საბაზრო ფასად, როგორც ის შეფასებულია მოქმედ ბაზარზე, თუკი მოცემული ფასები რეგულარულად ხელმისაწვდომია გადაცვლის ან სხვა დაწესებულებისგან და აღნიშნული ფასები წარმოადგენს რეალურ და რეგულარულად დამოუკიდებელ მხარეებს შორის განხორციელებულ საბაზრო ტრანზაქციების ღირებულებას.

იმ ფინანსური აქტივების რეალური ღირებულების შესაფასებლად, რომლისთვისაც არ არსებობს ინფორმაცია გარე საბაზრო ფასების შესახებ გამოიყენება სხვადასხვა შეფასების მეთოდები, როგორიცაა დისკონტირებული ფულადი ნაკადების მოდელი, ან მოდელები დაფუძნებული ბოლო პერიოდში დამოუკიდებელ მხარეებს შორის განხორციელებულ ტრანზაქციებზე, ან ინვესტორების ფინანსური მონაცემების გათვალისწინება. შეფასების მეთოდები შეიძლება საჭიროებდეს დაშვებებს, რომელიც დაკვირვებადი ბაზრის ინფორმაციით არ დასტურდება. შენიშვნები კეთდება მსგავსი განსაკუთრებული მიზნის მქონე ფინანსური ინსტრუმენტების შესახებ, იმ შემთხვევაში თუ მსგავსი დაშვების შეცვლა უფრო გონივრულად დასაშვები ალტერნატივით გამოიწვევს მნიშვნელოვან სხვაობას მოგებაში, შემოსავალში, მთლიან აქტივებში ან მთლიან ვალდებულებებში.

ტრანზაქციის დანახარჯები არის ფინანსური ინსტრუმენტის შეძენაზე, გამოშვებაზე ან რეალიზაციაზე პირდაპირ მიკუთვნებადი ნამატი ხარჯები. ნამატი ხარჯი არის დანახარჯი, რომელზეც არ გაიწეოდა ტრანზაქცია, რომ არ მომხდარიყო. ტრანზაქციის ხარჯები შეიცავს შუამავლისთვის (გაყიდვების შუამავლად დასაქმებული თანაშრომლის ჩათვლით), მრჩევლის, ბროკერისა და დილერისათვის გადახდილ მოსაკრებელს და საკომისიოს, მარეგულირებელი სააგენტოების და ფასიანი ქაღალდების გაცვლის გადასახადს, სატრანსფერო გადასახადს. ტრანზაქციის ხარჯი არ შეიცავს ვალდებულების პრემიუმს ან ფასდაკლებას, ფინანსირების ხარჯებს ან შიდა ადმინისტრაციულ თუ ფლობის ხარჯს. ამორტიზებული ღირებულება არის სხვაობა ფინანსური ინსტრუმენტის პირველად აღიარების თანხასა და ძირის გადახდას შორის, დამატებული დარიცხული პროცენტი და ფინანსური აქტივის შემთხვევაში ასევე გამოკლებული გაუფასურების დანაკარგის ჩამოწერა. დარიცხული პროცენტი შეიცავს პირველადი აღიარებისას განსაზღვრული ტრანზაქციის ღირებულებისა და სარგებლიანობის ვადის ამოწურვისათვის განსაზღვრული ნებისმიერი პრემიუმის ან ფასდაკლების თანხის ამორტიზაციას ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით. დარიცხული საპროცენტო შემოსავალი და დარიცხული საპროცენტო ხარჯი, დარიცხული კუპონი და ამორტიზებული პრემიუმის ან ფასდაკლების ჩათვლით (წარმოქმნისას მომხდარი გადასახადების ჩათვლით), ფინანსურ ანგარიშგებაში არ არის წარმოდგენილი განცალკევებით და შედის დაკავშირებული პუნქტების მიმდინარე ღირებულებაში.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი არის საპროცენტო შემოსავლის ან საპროცენტო ხარჯის შესაბამის პერიოდზე განაწილების მეთოდი მიმდინარე ღირებულებაზე პერიოდის მუდმივი საპრცენტო განაკვეთის (ეფექტური საპროცენტო განაკვეთის) მისაღებად. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი, არის განაკვეთი, რომელიც ფინანსური ინსტრუმენტის სასიცოცხლო ვადის განმავლობაში განსაზღვრული მომავალი ფულადი ნაკადების მთლიანად ადისკონტირებს ფინანსური ინსტურმენტის მიმდინარე სუფთა საბალანსო ღირებულებამდე. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი ახდენს სხვადასხვა საპროცენტო ინსტრუმენტების შემდეგ პროცენტის გადაფასების თარიღამდე დისკონტირებას, გარდა პრემიუმის ან ფასდაკლებისა, რომელიც ასახავს საკრედიტო სპრედს კონკრეტული ფინანსური ინსტრუმენტის მცურავ კურსზე და სხვა ცვლადებზე, რომელიც არ სწორდება საბაზრო განაკვეთით. მსგავსი პრემიუმის და ფასდაკლების ამორტიზება ხდება ინსტრუმენტის მთელი სასიცხოცხლო ვადის განმავლობაში. მიმდინარე ღირებულების გამოთვლა გულისხმობს კონტრაქტის მხარეებს შორის გადახდილ ან მიღებულ ყველა გადასახადებს, რომელიც ეფექტური საპროცენტო განაკვეთის განუყოფელი ნაწილია.

***ფინანსური აქტივების და ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაცია***

კომპანიის მთლიანი ფინანსური აქტივები ხვდება სესხების და მოთხოვნების განსაზღვრის კატეგორიაში. სესხები და მოთხოვნები არის არადერივატიული ფინანსური აქტივები ფიქსირებული და განსაზღვრული გადახდებით, რომელიც მოქმედ ბაზარზე არ არის შეფასებული. აღნიშნული ფინანსური აქტივები ბალანსის თარიღიდან 12 თვეზე ნაკლებ პერიოდში დაფარვის ვადით, შედის მიმდინარე აქტივებში, 12 თვის ზემოთ - გრძელვადიან აქტივებში.

კომპანიის მთლიანი ფინანსური აქტივები კლასიფიცირებულია, როგორც სხვა ფინანსური ვალდებულებები და აღიარებულია ამორტიზებული ღირებულებით.

*ფინანსური ინსტრუმენტების თავდაპირველი აღიარება*

ყველა ფინანსური აქტივი და ვალდებულება თავდაპირველად აღიარდება სამართლიან ღირებულებას დამატებული ტრანზაქციის დანახარჯები. თავდაპირველი აღიარებისას სამართლიან ღირებულებას ყველაზე კარგად ასახავს ტრანზაქციის ფასი. სარგებელი ან დანაკარგი თავდაპირველი აღიარებისას აღირიცხება მხოლოდ მაშინ თუ არსებობს სხვაობა სამართლიან ღირებულებასა და ტრანზაქციის ფასს შორის, რომელიც შეიძლება გამოიკვეთოს მსგავს ინსტრუმენტებზე სხვა მიმდინარე საბაზრო ტრანზაქციებზე დაკვირვებით, ან შეფასების მეთოდით, რომლის შემავალი მონაცემები შეიცავს მხოლოდ ინფორმაციას დაკვირვებადი ბაზრებიდან.

ფინანსური აქტივის ყველა შესყიდვა, ან რეალიზაცია, რომელიც მოითხოვს აქტივის გარკვეული დროის საზღვრებში მიწოდებას. დაწესებული რეგულაციით, თუ ბაზრის პირობებით (ვაჭრობის მიღებული წესი) აღიარდება რეალიზაციის/შესყიდვის თარიღით, კერძოდ თარიღით, როცა კომპანია აიღებს ვალდებულებას შეიძინოს, ან გაყიდოს აქტივი. ყველა სხვა შესყიდვა აღიარდება იმ თარიღით როდესაც პირი გახდება ინსტრუმენტის ხელშეკრულების ვალდებულების მხარე.

**ფინანსური აქტივის აღიარების შეწყვეტა**

კომპანია წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას, როდესაც ა) მოხდება აქტივის გამოსყიდვა, ან აქტივისგან მისაღები ფულადი ნაკადები სხვა მიზეზით ამოიწურება; ბ)კომპანიამ გადასცა აქტივიდან მისაღები ფულადი ნაკადების უფლება ან შევიდა შუამავლის გარიგებაში, როდესაც 1) ასევე გადასცემს აქტივის ფლობის სარგებლის და რისკების მნიშვნელოვან წილს, ან 2) არც გადასცემს, მაგრამ არც იტოვებს სარგებლის და რისკების მნიშვნელოვან რისკებს, მაგრამ ასევე უარს ამბობს კონტროლზე. კონტროლი ნარჩუნდება, იმ შემთხვევაში თუ მეორე მხარეს არ აქვს უფლება მთლიანი აქტივის მესამე პირზე რეალიზაციის, რეალიზაციაზე გარკვეული შეზღუდვების დაწესების გარეშე.

**ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივის გაუფასურება**

ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივის გაუფასურება ხდება, მისი თავდაპირველი აღიარების შემდგომ პერიოდში მომხდარი ერთი ან რამდენიმე მოვლენით („დანაკარგის მოვლენები"), რომელსაც გავლენა აქვს ფინანსური აქტივის ან ფინანსური აქტივების ჯგუფისგან მისაღები მომავალი ფულადი ნაკადების მოცულობაზე ან ვადებზე და შეიძლება ამის საიმედოდ განსაზღვრა, გამოწვეული გაუფასურების დანაკარგები აღიარდება მოგება-ზარალზე მათი მოხდენის პერიოდში. თუ კომპანია დაასკვნის, რომ არ არსებობს ინდივიდუალურად შეფასებული ფინანსური აქტივის გაუფასურების მოხდენის ობიექტური მტკიცებულება, იქნება ეს მნიშვნელოვანი თუ არა, იგი შეიყვანს აღნიშნულ ფინანსურ აქტივს მსგავსი საკრედიტო რისკის მქონე აქტივების ჯგუფში და მოახდენს მათ ჯგუფურ ტესტირებას გაუფასურებაზე. ფინანსური აქტივის გაუფასურების შესამოწმებლად კომპანიის მიერ ძირითადად გამოყენებული ფაქტორები არის მისი ვადაგადაცილებულობის სტატუსი და მისი შესაბამისი უზრუნველყოფის, ასეთის არსებობის შემთხვევაში სანდოობა. ფინანსური აქტივის გაუფასურების შემოწმების სხვა ძირითადი კრიტერიუმს წარმოადგენს:

- დავალიანების გარკვეული ნაწილი ვადაგადაცილებულია და ვადაგადაცილება არ არის გამოწვეული გადახდის სისტემის დაყოვნებით. მეორე მხარე განიცდის მნიშვნელოვან ფინანსურ სირთულეს, როგორც ეს ჩანს კომპანიის მიერ მოპოვებული ფინანსური ინფორმაციით;
- მეორე მხარე განიხილავს გაკოტრების ან ფინანსური რეორგანიზაციის ვარიანტს;
- სახეზეა მეორე მხარის მიერ გადახდების სტატუსის მნიშვნელოვანი გაუარესება ეროვნული ან ადგილობრივი ეკონომიკური მდგომარეობის ცვლილებების შედეგად, რომელსაც გავლენა აქვს მეორე მხარეზე ან;
- უზრუნველყოფის ღირებულება მნიშვნელოვნად მცირდება ბაზრის პირობების მნიშვნელოვანი გაუარესების შედეგად.

თუკი მოხდა ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული გაუფასურებული ფინანსური აქტივის პირობების გადახედვა ან სხვაგვარად მოდიფიკაცია მეორე მხარის ფინანსური სირთულეების გამო, გაუფასურება გამოითვლება პირობების ცვლილებამდე არსებული თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით.

გაუფასურების დანაკარგი ყოველთვის აღიარდება სარეზერვო ანგარიშზე აქტივის საბალანსო ღირებულების მოსალოდნელი ფულადი ნაკადების (რომელიც არ შეიცავს მომავალ საკრედიტო დანაკარგებს, რომელიც ჯერ არ მომხდარა) აქტივის თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით დისკონტირებულ ღირებულებამდე ჩამოსაწერად. უზრუნველყოფილი ფინანსური აქტივის მოსალოდნელი მომავალი ფულადი ნაკადების დღევანდელი ღირებულების გამოთვლა მოიცავს უზრუნველყოფილი აქტივისგან მოსალოდნელ ფულად ნაკადებს, გამოკლებული მისი მიღების და რეალიზაციის დანახარჯები, იმის მიუხედავად არის თუ არა უზრუნველყოფილი აქტივის მოსალოდნელი რეალიზაცია.
თუკი შემდგომ პერიოდში მოხდება გაუფასურების ზარალის შემცირება და ეს შემცირება შეიძლება საიმედოდ მიეკუთვნოს გაუფასურების ზარალის აღიარების შემდგომი პერიოდის მოვლენას (როგორიცაა დებიტორის საკრედიტო რეიტინგის გაუმჯობესება), მანამდე აღიარებული გაუფასურების ზარალის გაუქმება მოხდება სარეზერვო ანგარიშის დაკორექტირებით წლის მოგება-ზარალზე.

უიმედო აქტივები ჩამოიწერება შესაბამის გაუფასურების დანაკარგის რეზერვის ანგარიშზე აქტივის აღდგენისათვის ყველა საჭირო პროცედურის დასრულების და დანაკარგის მოცულობის განსაზღვრის შემდეგ. წინა პერიოდში ჩამოწერილი თანხების შემდგომი აღდგენა დაკრედიტდება გაუფასურების დანაკარგის ანგარიშზე წლის მოგება-ზარალზე.

*ფული და ფულის ექვივალენტები*
ფულად სახსრებსა და ფულადი სახსრების ექვივალენტებში იგულისხმება ნაღდი ფული, ბანკში განთავსებული დეპოზიტები მოთხოვნამდე და სხვა მოკლევადიანი მაღალ-ლიკვიდური ინვესტიციები, რომელთა თავდაპირველი დაფარვის ვადა სამი თვე, ან უფრო ნაკლებია. ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ექვივალენტები აისახება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით. შეზღუდული ნაშთები გამოირიცხება ფულადი სახსრებისა და მათი ექვივალენტებისაგან ფულადი სახსრების ნაკადების ანგარიშგების მიზნებისათვის. ის ნაშთები, რომელთა შეზღუდვაც ხდება, რათა არ მოხდეს მათი გაცვლა, ან ვალდებულების დასაფარავად გამოყენება, საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ სულ მცირე თორმეტი თვის განმავლობაში აისახება სხვა გრძელვადიან აქტივებში.

*სავაჭრო და სხვა მოთხოვნები*
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები თავდაპირველად აღიარდება სამართლიანი ღირებულებით და შემდგომ ხდება მათი შეფასება ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით, გამოკლებული გაუფასურების რეზერვი. გაუფასურების რეზერვი იქმნება მაშინ, როდესაც არსებობს საფუძველი, რომ კომპანია ვერ მიიღებს თავდაპირველი შეთანხმებით განსაზღვრულ შესაბამის თანხას.

გაუფასურების რეზერვის თანხა არის სხვაობა აქტივის საბალანსო ღირებულებასა და ეფექტური საპროცნეტო განაკვეთით დისკონტირებული მისი მომავალი ფულადი ნაკადების ახლანდელ ღირებულებას შორის. აქტივის მიმდინარე ღირებულება მცირდება რეზერვის ანგარიშის მეშვეობით, და ზარალის თანხა აღიარდება მოგება-ზარალის უწყისში. როდესაც სავაჭრო მოთხოვნების მიღება შეუძლებელია, ის ჩამოიწერება სავაჭღო და სხვა მოთხოვნების რეზერვის ანგარიშზე. შემდგომი აღდგენები დარეზერვებული მოთხოვნებიდან კრედიტდება მოგება ზარალის ანგარიშგებაში.

*ძირითადი საშუალებები*
ძირითადი საშუალებები აღირიცხება გადაფასების მოდელით.

მცირე შეკეთება-განახლება აღიარდება მოგება/ზარალის ანგარიშგებაში მისი მოხდენისთანავე. ხარჯები დაკავშირებული ძირითადი საშუალებების მნიშვნელოვანი ნაწილის ან კომპონენტების ჩანაცვლებასთან კაპიტალიზირდება და ჩანაცვლებული ნაწილი ჩამოიწერება.

ყველა აქტივი წარმოდგენილია გადაფასებულ ღირებულებას, გამოკლებული დაგროვილი ცვეთა და გაუფასურების ზარალით, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს მენეჯმენტი აფასებს, არსებობს თუ არა ძირითადი საშუალებების გაუფასურების რაიმე ნიშნები. თუ გაუფასურებას ჰქონდა ადგილი, ხდება ძირითადი საშუალებების ჩამოფასება უმაღლესი თანხით შემდეგ ორს შორის: გამოყენების ღირებულება და სამართლიან ღირებულებას გამოკლებული გაყიდვის ხარჯები. საბალანსო ღირებულების შემცირება აისახება მოგება-ზარალზე. წინა პერიოდში აღიარებული აქტივის გაუფასურების დანაკარგი გაიქვითება, თუკი მოხდება აქტვის გამოყენების ღირებულების ან სამართლიან ღირებულებას გამოკლებული გაყიდვის დანახარჯების ღირებულების გამოსათვლელად საჭირო დაშვებების ცვლილება.

ძირითადი საშუალებების ჩამოწერა/რეალიზაციიდან მისაღები თანხების საბალანსო ღირებულებასთან შედარებთ განსაზღვრული სარგებელი და ზარალი აღიარდება მოგება-ზარალში.

*ცვეთა*
ცვეთა ძირითად საშუალებებზე გამოითვლება წრფივი მეთოდით რაც გულისხმობს აქტივების ღირებულება განაწილდეს მათი გემგიური საექსპულატაციო ვადის ზემოთ ნარჩენი ღირებულების გამოკლებით (ასეთის არსებობის შემთხვევაში). შემდეგი საექსპლუატაციო ვადები გამოიყენება ავეჯისა და სხვა ინვენტარის ცვეთისათვის:

| ძირითადი საშუალებების კატეგორიები | წლები |
|---|---|
| შენობები | 20-50 |
| მანქანა დანადგარები | 5-15 |
| ტრანსპორტი | 5 |
| საოფისე მოწყობილობა | 5 |
| სხვა ფიქსირებული აქტივები | 3 |

ნარჩენი ღირებულება არის სავარაუდო ღირებულება, რასაც კომპანია მიიღებდა ამჟამად ძირითადი საშუალების გაყიდვიდან, გაყიდვის ხარჯების გამოკლებით. ძირითადი საშუალებების მომსახურების პერიოდი გადაიხედება ყოველწლიურად და იცვლება საჭიროების შემთხვევაში.

*შემოსავლის აღიარება*
სამედიცინო მომსახურებიდან ამონაგები აღიარდება იმ სააღრიცხვო პერიოდში, როდესაც გაწეულ იქნა მომსახურება (გაეწერა პაციენტი) დაუყოვნებელი აღიარების მეთოდის გამოყენებით. დღგ-ით დასაბეგრი ოპერაციების განხორციელებისას, შემოსავალი ნაჩვენები უნდა იქნას დღგ-სა და ფასდათმობის გარეშე.

*სავაჭრო და სხვა ვალდებულებები*
სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ვალდებულებას იმ საქონლისა თუ მომსახურებისთვის, რომელიც კომპანიამ შეიძინა მისი მომწოდებლებისგან ჩვეულებრივი ბიზნეს ოპერაციებით. სავაჭრო მოთხოვნები კლასიფიცირდება, როგორც მიმდინარე ვალდებულებები, თუ გადახდის ვალდებულება არის ერთ წელამდე პერიოდში, თუ არა, როგორც გრძელვადიანი ვალდებულებები. ამჟამად კომპანიის მთლიანი სავაჭრო ვალდებულებების დაფარვა მოსალოდნელია საბალანსო ანგარიშგების თარიღიდან ერთ წლამდე პერიოდში და კლასიფიცირებულია, როგორც მიმდინარე ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებების თავდაპირველი აღიარებისას ფასდება სამართლიანი ღირებულებით და შემდგომ პერიოდში ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით.

*მოგების გადასახადი*
მოგების გადასახადი წარმოდგენილია საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ან დასკვნის თარიღისთვის ამოქმედებული კანონმდებლობის მიხედვით. მოგების გადასახადი წარმოადგენს მიმდინარე გადასახადს და აღიარდება მოგება-ზარალის ანაგარიშგებაში, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ის პირდაპირ აღიარებულია კაპიტალში, რადგანაც უკავშირდება ოპერაციებს, რომლებიც იმავე ან განსხვავებულ პერიოდში, ასევე პირდაპირ კაპიტალში აღიარდება.

მიმდინარე მოგების გადასახადი არის მიმდინარე ან გასული პერიოდის დასაბეგრი მოგების გადასახდელი ან ზარალის შესაბამისი მოგების გადასახადის აღდგენადი თანხა. იმ შემთხვევაში თუ ფინანსური ანგარიშგების გამოქვეყნება ხდება საგადასახადო დეკლარაციების ჩაბარებამდე, დასაბეგრი მოგება ან ზარალი ეფუძნება შეფასებებს. გადასახადები, მოგების გარდა, აღირიცხება ადმინისტრაციულ და სხვა საოპერაციო ხარჯებში.

გადავადებული მოგების გადასახადი აღარ მიესადაგება ფინანსურ ანგარიშგებებს, იქიდან გამომდინარე, რომ საქართველოს ახალი საგადასახადო კოდექსით აღარ გამოიყენება.

*მარაგები*
მარაგები აღირიცხება ღირებულებასა და სუფთა საერალიზაციო ფასს შორის უმცირესით.

მარაგების ღირებულება განისაზღვრება საშუალო შეწონილი მეთოდით. ნეტო სარეალიზაციო ღირებულება განისაზღვრება გასაყიდ ფასსა და დამთავრებისა და გაყიდვის მოსალოდნელი ხარჯების სხვაობით.

*წინასწარ გადახდები*
წინასწარი გადახდები აღიარდება თვითღირებულებას გამოკლებული გაუფასურების რეზერვით. წინასწარი გადახდა კლასიფიცირება გრძელვადიანად, როდესაც საქონელი ან მომსახურება, რომელიც სავარაუდოდ, მიღებული იქნება ერთი წლის შემდეგ ან აღნიშნული წინასწარგადახდა უკავშირდება აქტივს, რომელიც თავდაპირველი აღიარებისას თავად კლასიფიცირებული იქნება გრძელვადიან აქტივად.

ძირითადი საშუალებების შესაძენად განხორციელებული წინასწარი გადახდები გადავა ძირითადი საშუალების საბალანსო ღირებულებაზე მაშინ, როდესაც კომპანია მიიღებს სრულ კონტროლს ამ ძირითად საშუალებაზე და მოსალოდნელია ამ აქტივისგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება.

სხვა წინასწარი გადახდები ჩამოიწერება მოგება-ზარალზე, როდესაც ხდება წინასწარ გადახდებთან დაკავშირებული შესაბამისი საქონლის ან მომსახურების მიღება. თუ არსებობს რაიმე სახის ეჭვი, რომ ვერ მოხდება საქონლის, მომსახურების თუ ძირითადი საშუალების მიღება, რომლისთვისაც წინასწარ გადახდილია თანხა, ამ შემთხვევაში ხდება აღნიშნული წინასწარგადახდის ჩამოწერა მიმდინარე პერიოდის მოგება-ზარალზე.

*საწესდებო კაპიტალი*
სააქციო კაპიტალი აღიარებულია კომპანიის მიერ მიღებული შენატანების სამართლიანი ღირებულებით.

*დივიდენდები*
დივიდენდები აღირიცხება, როგორც ვალდებულება და აკლდება კაპიტალს იმ პეროდში, როდესაც მოხდა მათი გამოცხადება და დამტკიცება. ნებისმიერი დივიდენდი, გამოცხადებული საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ და ფინანსური ანგარიშების დამტკიცებამდე, გამჟღავნდება შემდგომი პერიოდის მოვლენების შენიშვნაში.

*სესხები*
სესხები აღირიცხება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით ამორტიზებული ღირებულებით.

**პერსონალის ხარჯი და მასთან დაკავშირებული შენატანები**
გადასახდელი ხელფასები, წლიური შვებულება და ავადმყოფობის გამო შვებულებით სარგებლობა, პრემიები, და სხვა სარგებელი (საკვები, ბინით უზრუნველყოფა, ტრანსპორტირება, და სხვ.) დაირიცხება იმ პერიოდის განმავლობაში, როდესაც მათთან დაკავშირებული მომსახურების მიწოდებას განახორციელებენ კომპანიის დაქირავებული მომუშავეები. კომპანიას არ გააჩნია იურიდიული, ან კონსტრუქციული ვალდებულება განახორციელოს საპენსიო, ან ანალოგიური სარგებლის გადახდა.

## 3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო მსჯელობები, დაშვებები და შეფასებები

კომპანიის ფინანსური ანგარიშგებების მომზადება მოითხოვს მენეჯმენტის მხრიდან გარკვეული შეფასებების და დაშვებების გაკეთებას, რომელიც გავლენას ახდენს მოგების, ხარჯების, აქტივების და ვალდებულებების ღირებულებაზე და მათ შესაბამის შენიშვნებზე და პირობითი ვალდებულების შენიშვნაზე. უზუსტობამ აღნიშნულ შეფასებებში და დაშვებებში შესაძლოა გამოიწვიოს ისეთი შედეგი, რომელიც საჭიროს გახდის აქტივის საბალანსო ღირებულების მატერიალურ კორექტირებას ან გავლენას მოახდენს ვალდებულებას მომავალ პერიოდში.

**საგადასახადო კანონმდებლობა**

საქართველოს საგადასახადო კოდექსი და საბაჟო კანონმდებლობა ექვემდებარება განსხვავებულ ინტერპრეტაციებს.

***გადასახადები***

გადავადებული საგადასახადო აქტივი აღიარდება გამოუყენებელი საგადასახადო დანაკარგებისთვის, იმდენად რამდენადაც სავარაუდოა, რომ დასაბეგრი მოგება ხელმისაწვდომი იქნება დანაკარგების გამოყენებისთვის. მენეჯმენტის მსჯელობა საჭიროა, რათა განისაზღვროს გადავადებული საგადასახადო აქტივის ღირებულება, რომელიც შეიძლება აღიარდეს, მომავალ დასაბეგრ მოგებასა და მომავალ საგადასახადო სტრატეგიაზე დაყრდნობით.

ფინანსურ ანგარიშგებებში მოგებიდან გადასახადი ასახულია არსებული საანგარიშგებო პერიოდისთვის ძალაში შესული კანონმდებლობის შესაბამისად.

2016 წლის 13 მაისს საქართველოს მთავრობამ ცვლილებები შეიტანა საქართველოს საგადასახადო კოდექსში, რომლის მიხედვით კომპანიები (გარდა ბანკების, საკრედიტო კავშირების, სადაზღვევო კომპანიების, მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა და ლომბარდებისა) ვალდებული არ არიან გადაიხადონ მოგების გადასახადი 2017 წლის 1 იანვრიდან გამომუშავებულ მოგებაზე მანამ, სანამ არ მოხდება აღნიშნული მოგების განაწილება ან აღიარებული განაწილება დივიდენდის სახით.

მოგების გადასახადის განაკვეთია 15% მთლიან თანხაზე (ანუ ნეტო დივიდენდები იბეგრება 5%-იანი განაკვეთით, საჭიროების შემთხვევაში, და მთლიანი თანხის მისაღებად უნდა გაიყოს 0.85-ზე) ფიზიკური პირების ან არარეზიდენტი იურიდიული პირებისათვის დივიდენდის გადახდის მომენტში. 2017 წლის 1 იანვრიდან რეზიდენტ იურიდიულ პირებზე მოგებიდან გადახდილი დივიდენდები არ იბეგრება.

2008 წლის 1 იანვრიდან 2017 წლის 1 იანვრამდე პერიოდში აკუმულირებულ მოგებაზე დივიდენდები ექვემდებარება მოგების გადასახადით დაბეგვრას მთლიან თანხაზე, შემცირებული შესაბამისი საგადასახადო კრედიტის თანხით, რომელიც გამოითვლება, როგორც დასაბეგრ მოგებაზე, იგივე პერიოდში მთლიანი წმინდა მოგების საპირისპიროდ, გამოცხადებული და გადახდილი კორპორატიული მოგების გადასახადის წილი, გამრავლებული გასანაწილებელ დივიდენდებზე. თუმცა, საგადასახადო კრედიტის თანხა არ უნდა აღემატებოდეს განაწილებულ დივიდენდებზე ფაქტიურ მოგების გადასახადს.

დივიდენდების განაწილების შედეგად წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღირიცხება, როგორც მოგების გადასახადის ხარჯი იმ პერიოდში, როდესაც გამოცხადდა დივიდენდები, მიუხედავად ფაქტიურად გადახდის თარიღისა, ან იმ პერიოდში, როდესაც განხორციელდა დივიდენდების გადახდა.

დივიდენდების განაწილების გარდა გადასახადი გადასახდელია იმ ხარჯებსა და სხვა გადახდებზე, რომლებიც არ არიან დაკავშირებულნი ეკონომიკურ საქმიანობასთან - აქტივების ან მომსახურების უფასო მიწოდება და წარმომადგენლობითი დანახარჯები, რაც აღემატება საქართველოს საგადასახადო კოდექსით განსაზღვრულ მაქსიმალურ თანხას. ყველა გადახდილი ავანსი საწარმოებზე, რომლებიც რეგისტრირებულნი არიან პრივილეგირებული საგადასახადო რეჟიმის მქონე იურისდიქციებში და სხვა

გარკვეული ოპერაციები მსგავს საწარმოებთან, ისევე როგორც ფიზიკურ პირებზე ან არარეზიდენტ პირებზე გაცემული სესხები, მაშინვე დაბეგვრადია. მსგავსი გადასახადები, სხვა გადასახადებთან ერთად, პრივილეგირებული საგადასახადო რეჟიმის მქონე იურისდიქციებში დარეგისტრირებული საწარმოებისაგან აღნიშნული გადახდილი ავანსის სანაცვლოდ მიღებულ აქტივებზე ან მომსახურებებზე მოთხოვნილი საგადასახადო კრედიტის გამოკლებით, ან ფიზიკურ პირებზე ან არარეზიდენტებზე გაცემული სესხების ამოღების გამოკლებით, აღირიცხება საოპერაციო ხარჯებში ასახულ 'გადასახადებში', და არა მოგების გადასახადში.

**სს „ლილო 1"**
**შენიშვნები ფინანსურ ანგარიშგებაზე 2022 წლის 31 დეკემბერი**
**(ათასი ლარი)**

---

*ძირითადი საშუალებების გამოყენების ხანგრძლივობა*

კომპანია აკეთებს ძირითადი საშუალებების გამოყენების ხანგრძლივობის შეფასებას, სხვადასხვა ფაქტორების გათვალისწინებით, როგორებიცაა: ტექნიკური ან კომერციული მოძველება, მოსალოდნელი წარმადობა, სიმძლავრე და ფიზიკური მდგომარეობა, რაც დამოკიდებულია ოპერაციულ ფაქტორებზე. მიუხედავად იმისა, რომ ხელმძღვანელობა ცდილობს მაქსიმალურად ზუსტად შეაფასოს ძირითადი საშუალებით გამოსახული მომავალი ეკონომიკური სარგებლის მოხმარების მოდელი, ის შეიძლება მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს რეალური შედეგებისგან, რამაც შესაძლოა მატერიალური გავლენა იქონიოს ფინანსურ ანგარიშგებებში წარმოდგენილ მონაცემებზე.

*ფინანსური ლიზინგი*

ახალ სტანდარტში წარმოდგენილია აღიარების, შეფასების, პრეზენტაციისა და ლიზინგების ასახვის პრინციპები. ყველა ლიზინგი იწვევს იმას, რომ მოიჯარე, იღებს აქტივის გამოყენების უფლებას ლიზინგის დასაწყისშივე, და თუ იჯარის გადახდა ხდება ხანგრძლივი დროის განმავლობაში, ასევე დაფინანსების მიღების შესაძლებლობას. შესაბამისად, ფასს 16 აფასებს იჯარების საოპერაციო ლიზინგად ან ფინანსურ ლიზინგად კლასიფიკაციას, როგორც ამას მოითხოვს ბასს 17 და ამის ნაცვლად, შემოაქვს ერთი მოიჯარის საბუღალტრო აღრიცხვის მოდელი. მოიჯარეებმა უნდა აღიარონ: (ა) აქტივები და ვალდებულებები 12 თვეზე მეტ ვადიანი ლიზინგებისთვის, თუ წარმოადგენილი აქტივი დაბალ ღირებულიანი არ არის; და (ბ) იჯარით გაცემული აქტივის ცვეთა იჯარის ვალდებულებებზე პროცენტისგან ცალკე მოგება-შემოსავლის ანგარიშგებაში. ფასს 16-ს არსებითად გადააქვს მეიჯარის საბურალტრო არიცხვის მოთხოვნები ბასს 17-ში. შესაბამისად, მეიჯარე აგრძელებს მისი იჯარების საოპერაციო ლიზინგებად ან ფინანსურ ლიზინგებად კლასიფიკაციას, და სხვადასხვაგვარად უდგება ამ ორი ტიპის ლიზინგს. მენეჯმენტი 2020 წლიდან იყენებს IFRS 16-ს საკუთარ ანგარიშგებებში.

## 4. IASB-ს მიერ გამოცემული ახალი ან განახლებული სტანდარტები და განმარტებები

ა) 2021 წლის 1 იანვრის შემდეგ ძალაში შესული ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები და შესწორებები:
2022 წლის 1 იანვრიდან ძალაში შესული სტანდარტები და შესწორებები
ფასს სტანდარტების წლიური გაუმჯობესება: 2018-2020 ციკლი. 2020 წლის მაისში IASB-იმ გამოაქვეყნა შემდეგი სტანდარტების მცირე შესწორებები: ფასს 1 ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების პირველად გამოყენება, ფასს 9 ფინანსური ინსტრუმენტები, ბასს 41 სოფლის მეურნეობა და ფასს 16 იჯარის საილუსტრაციო მაგალითები.
კონცეპტუალური მიდგომა (შესწორება - ფასს 3). 2020 წლის მაისში, IASB-იმ გამოაქვეყნა ფასს 3-ის კორექტირება, რომელიც განაახლებს მითითებას ფინანსური ანგარიშგების კონცეპტუალურ საფუძვლებზე ისე, რომ მნიშვნელოვნად არ ცვლის სტანდარტის მოთხოვნებს საწარმოთა გაერთიანებასთან დაკავშირებით. შესწორება შეეხება გამონაკლისს საწარმოთა გაერთიანებისას ვალდებულებების და პირობითი ვალდებულებების აღიარების ძირითადი მიდგომიდან და ხვდება ბასს 37 ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივების და ფასიკ 12 მომსახურებაზე კონცენსიური შეთანხმებების მოქმედების სფეროში.
ბასს 37 ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები (შესწორება - წაგებიანი ხელშეკრულებები - ხელშეკრულების შესრულების ღირებულება). 2020 წლის მაისში IASB-იმ გამოსცა ბასს 37-ის შესწორება, 68ა პარაგრაფის დამატებით რომელიც აკონკრეტებს ხარჯებს, რომელიც გაითვალისწინება ხელშეკრულების შესრულების ღირებულების განსაზღვრისას, რათა შეფასდეს ხელშეკრულება არის თუ არა წაგებიანი. მოსალოდნელია, რომ აღნიშნული შესწორება გამოიწვევს მეტი ხელშეკრულების აღრიცხვას წაგებიან ხელშეკრულებად, რადგან იზრდება იმ ხარჯების არეალი, რომელთა გათვალისწინებაც უნდა მოხდეს წაგებიანი ხელშეკრულების შეფასებაში.
ბასს 16 ძირითადი საშუალებები (შესწორება - შემოსავალი აქტივის მიზნობრივ გამოყენებამდე). 2020 წლის მაისში IASB-იმ გამოსცა ბასს 16-ის შესწორება, რომელიც კრძალავს საწარმოს მიერ ძირითადი საშუალებების ღირებულებიდან გამოქვითოს ამავე აქტივით წარმოებული საქონლის გაყიდვიდან მიღებული შემოსავალი, სანამ საწარმო მოცემულ აქტივს ამზადებს მისი დანიშნულებისამებრ გამოყენებისათვის. ნაცვლად იმისა რომ მოხდეს აღნიშნულის აქტივის ღირებულებასთან დანეტება, საწარმომ უნდა აღიაროს ასეთ გაყიდვებთან დაკავშირებული შემოსავალი და ხარჯები მოგებასა და ზარალში.

ბ) ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები და შესწორებები, რომლებიც ჯერ არ არის ძალაში
2023 წლის 1 იანვრიდან ძალაში შემავალი სტანდარტები და შესწორებები
ფასს 17 სადაზღვევო კონტრაქტები. ფასს 17 ნერგავს საერთაშორისო თანმიმდევრულ მიდგომას სადაზღვევო ხელშეკრულების აღრიცხვის მიმართ. ფასს 17-მდე, მთელ მსოფლიოში არსებობდა მნიშვნელოვანი სხვადასხვაობა სადაზღვევო ხელშეკრულებების აღრიცხვასა და წარდგენასთან დაკავშირებით, ფასს 4 ნებას რთავდა მრავალ (არა-ფასს) სააღრიცხვო მიდგომებს. ფასს 17-ის ძალაში შესვლა გამოიწვევს მნიშვნელოვან ცვლილებებს ბევრი მზღვეველისთვის, რაც გულისხმობს არსებული სისტემებსა და პროცესებში ცვლილების შეტანას.
ახალი სტანდარტის ხედვით, სადაზღვევო ხელშეკრულება მოიცავს ფინანსური ინსტრუმენტის და მომსახურების ხელშეკრულების ელემენტებს, ამასთან გამომუშავებული ფულადი ნაკადების დიდი ნაწილი არსებითად ცვალებადია დროთა განმავლობაში. შედეგად, სტანდარტი აყალიბებს შემდეგ მიდგომებს:
მომავალი ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულების აღიარება მოგებასა და ზარალში იმ პერიოდის განმავლობაში როდესაც ხდება მომსახურების გაწევა ხელშეკრულების თანახმად;
სადაზღვევო მომსახურების შედეგების (მათ შორის სადაზღვევო შემოსავლის) წარდგენა სადაზღვევო ფინანსური შემოსავლის ან ხარჯებისგან განცალკევებით;
სააღრიცხვო პოლიტიკის არჩევანი ცალკეული პორტფელის მიმართ სადაზღვევო ფინანსური შემოსავლის ან ხარჯის მთლიანად მოგებასა და ზარალში წარდგენასთან ან ნაწილობრივ სრულ შემოსავალში წარდგენასთან დაკავშირებით.
ფასს 17-ის გამოცემის შემდეგ, სტანდარტში შევიდა შესწორებები და მოხდა ძალაში შესვლის თარიღის გადავადება.
სააღრიცხვო პოლიტიკების წარდგენა (შესწორება- ბასს 1 და ფასს პრაქტიკული ანგარიშგება 2) – 2021 წლის თებერვალში, IASB-იმ გამოსცა ბასს 1-ის შესწორება, რომელიც ცვლის სააღრიცხვო პოლიტიკის წარდგენის მოთხოვნებს „მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის“ „არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის

ინფორმაციით“. მოცემული შესწორება იძლევა მითითებას, იმის შესახებ თუ როდის შეიძლება სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ ინფორმაცია იქნას არსებითად მიჩნეული. აღნიშნული შესწორება ძალაშია იმ ფინანსური ანგარიშგებისთვის, რომელთა საანგარიშგებო პერიოდი იწყება 2023 წლის 1 იანვრიდან. ადრეული გადასვლა ნებადართულია. რადგან ფასს პრაქტიკული ანგარიშგება 2 არ წარმოადგენს სავალდებულო სახელმძღვანელოს, არ მომხდარა სავალდებულო ძალაში შესვლის თარიღის განსაზღვრა ფასს პრაქტიკული ანგარიშგება 2-ის შესწორებასთან მიმართებაში.
გადავადებული გადასახადი დაკავშირებული ერთი ტრანზაქციიდან წარმოქმნილ აქტივებთან და ვალდებულებებთან (ბასს 12-ის შესწორება). 2021 წლის მაისში, IASB-იმ გამოსცა ბასს 12-ის შესწორება, რომელიც აკონკრეტებს, ვრცელდება

თუ არა პირველადი აღიარების გამონაკლისი გარკვეულ ოპერაციებზე, რომლებიც იწვევს როგორც აქტივის ასევე ვალდებულების სიმულაციურად აღიარებას (მაგ: იჯარა ფასს 16-ის შესაბამისად). შესწორების შედეგად ბასს 12.5-ს დაემატა კრიტერიუმი თავდაპირველი აღიარების გათავისუფლებასთან დაკავშირებით, რომლის მიხედვითაც გათავისუფლება არ ვრცელდება აქტივების ან ვალდებულების თავდაპირველ აღიარებაზე, რომლებიც წარმოშობს თანაბარი ოდენობის დასაბეგრ და გამოქვითვად დროებით სხვაობებს.

გ) სტანდარტები და შესწორებები, რომლებიც ძალაში შედის 2024 წლის 1 იანვრიდან
საიჯარო ვალდებულება უკუიჯარის პირობით გაყიდვისას (ფასს 16-ის შესწორება). 2020 წლის ივნისში ფასს ინტერპრეტაციების საბჭომ გამოსცა დღის წესრიგის გადაწვეტილება უკუიჯარის პირობით გაყიდვა ცვლად გადასახდელებთან დაკავშირებით. აღნიშნული საკითხი გადაეცა IASB-ს ზოგიერთი ასპექტის სტანდარტში გათვალისწინების მიზნით. 2022 წლის სექტემბერში IASB-იმ გამოსცა საბოლოო შესწორება.
შესწორების თანახმად გამყიდველ-მოიჯარეს მოეთხოვება იმგვარად განსაზღვროს „საიჯარო გადასახდელები“ ან „გადახედილი საიჯარო გადასახდელები“, რომ არ აღიაროს გამყიდველი-მოიჯარის მიერ შენარჩუნებულ სარგებლობის უფლებასთან დაკავშირებული ნებისმიერი ოდენობის მოგება ან ზარალი.
ბასს 1 ფინანსური ანგარიშების წარდგენა (შესწორება - ვალდებულების კლასიფიკაცია მოკლევადიანად ან გრძელვადიანად, კოვენანტებიანი გრძელვადიანი ვალდებულებები) 2020 წლის იანვარში IASB-იმ გამოსცა ბასს 1-ის შესწორება ვალდებულების მოკლევადიანად ან  გრძელვადიანად კლასიფიკაციასთან დაკავშირებით. ხოლო 2022 წლის ოქტომბერში შემდგომი შესწორება განხორციელდა კოვენტანტებიან გრძელვადიან ვალდებულებებთან მიმართებაში.
 შესწორების თანახმად, საწარმოს მოეთხოვება გააჩნდეს ვალდებულების დაფარვის გადავადების არსებითი უფლება საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ სულ მცირე თორმეტი თვით და აღნიშნული უფლება უნდა არსებობდეს საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ვალდებულების კლასიფიკაციაზე გავლენას არ ახდენს ალბათობა იმისა, რომ საწარმო გამოიყენებს უფლებას საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ მინიმუმ 12 თვით გადავადებასთან დაკავშირებით.
თუ საწარმოს გადავადების უფლება წარმოადგენს კონკრეტული პირობების დაკმაყოფილების საგანს, ასეთი პირობები გავლენას ახდენს თუ უფლება არსებობს საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, იმ შემთხვევაში თუ საწარმო ვალდებულია შეასრულოს პირობები საანგარიშგებო პერიოდის დასრულებამდე ან დასრულებისას და არა მაშინ, თუ საწარმო ვალდებულია დააკმაყოფილოს პირობები საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ. აღნიშნული შესწორება ასევე განმარტავს „დაფარვის“ მნიშვნელობას, ვალდებულების მოკლევადიანად ან გრძელვადიანად კლასიფიკაციის მიზნით

COVID-19 პანდემიის შედეგად შესწორების ძალაში შესვლის თარიღი გადაიწია ერთი წლით და ეფექტურია იმ ფინანსური ანგარიშგებისთვის, რომელთა საანგარიშგებო პერიოდი იწყება 2024 წლის 1 იანვარიდან.

## 5. ძირითადი საშუალებები

| | შენობა | დანადგარები და მოწყობილობა | ტრანსპორტი | ოფისის მოწყობილობა | სხვა ფიქს. აქტივები | სულ |
|---|---|---|---|---|---|---|
| **31.12.2021** | **141** | **3,268** | **11** | **131** | **62** | **3,613** |
| შეძენა | 62 | 772 | 9 | 441 | 186 | 1,470 |
| ჩამოწერა | - | (5) | - | - | - | (5) |
| **31.12.2022** | **203** | **4,035** | **20** | **572** | **248** | **5,078** |
| | | | | | | |
| **ცვეთა** | | | | | | |
| **31.12.2021** | **-** | **(2,830)** | **(17)** | **(49)** | **(70)** | **(2,966)** |
| *პერიოდის ცვეთა* | - | 8 | - | - | - | 8 |
| *ჩამოწერა* | - | (523) | (2) | (428) | (142) | (1,095) |
| ***31.12.2022*** | **-** | **(3,345)** | **(19)** | **(477)** | **(212)** | **(4,053)** |
| | | | | | | |
| **ბალანსი 31.12.2021** | **141** | **438** | **(6)** | **82** | **(8)** | **647** |
| **ბალანსი 31.12.2022** | **203** | **690** | **(1)** | **95** | **36** | **1,025** |

## 6. საინვესტიციო ქონება

| | მიწა | შენობა | მონაწილეობა სხვა საზოგადოებაში | სულ |
|---|---|---|---|---|
| **31.12.2021** | **13,285** | **24,640** | **-** | **37,925** |
| შეძენა | 18,652 | 29,133 | - | 47,785 |
| ჩამოწერა | - | - | - | - |
| **31.12.2022** | **31,937** | **53,773** | **-** | **85,710** |
| | | | | |
| **ცვეთა** | | | | |
| **31.12.2021** | - | (7,060) | 3,546 | (3,514) |
| *პერიოდის ცვეთა* | - | - | - | - |
| *ჩამოწერა* | - | (11,553) | (3,546) | (15,099) |
| ***31.12.2022*** | - | (18,613) | - | (18,613) |
| | | | | |
| **ბალანსი 31.12.2021** | 13,285 | 17,580 | 3,546 | 34,411 |
| **ბალანსი 31.12.2022** | 31,937 | 35,160 | - | 67,097 |

## 7. სასაქონლო მატერიალური მარაგები

| | 31-დეკ-2022 | 31-დეკ-2021 |
|---|---|---|
| საქონელი | 73 | 99 |
| ნედლეული და მასალები | 9 | 45 |
| სხვა მარაგები | 2 | 13 |

| | | |
|---|---|---|
| **სულ სასაქონლო მატერიალური ფასეულობები** | **84** | **157** |



## 8. სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება

| | 31-დეკ-2022 | 31-დეკ-2021 |
|---|---|---|
| სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალინება | 1,314 | 679 |
| საეჭვო ვალების რეზერვი | - | - |
| **სულ სავარო და სხვა დებიტორული დავალიანება** | **1,314** | **679** |

## 9. ფული და ფულის ეკვივალენტები

| | 31-დეკ-2022 | 31-დეკ-2021 |
|---|---|---|
| ნაღდი ფული სალაროში | 10 | 6 |
| ფული ბანკში | 748 | 1,211 |
| **სულ ფული და ფულის ექვივალენტები** | **758** | **1,217** |

ფულის ნაშთი საბანკო ანგარიშებზე შესაძლოა კლასიფიცირებული იყოს, როგორც არასარისკო, იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ ბანკები, სადაც კომპანიას მიმდინარე ანგარიშები აქვს, არის სანდო და საყოველთაოდ ცნობილი საკრედიტო დაწესებულებები.

## 10. კაპიტალი

2018 წლის 31 დეკემბერს კომპანიის ნებადართული და გადახდილი სააქციო კაპიტალი შეადგენდა 15,777 ჩვეულებრივ აქციებს, რომელთაგან თითოეულის ნომინალური ღირებულება შეადგენს 1000 ლარს. 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის 100% ს ფლობდა Linnaeus Capital Partners B.V. და საბოლოო მფლობელი იყო ნატალია ზოლოტოვა 100% საკუთრების წილით Linnaeus Capital B.V. ში. 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ნებადართული და გადახდილი სააქციო კაპიტალი შეადგენს 19,836 ჩვეულებრივ აქციებს. 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით Linnaeus Capital B.V. მ გაასხვისა ქონება შპს შარმ თრეიდინგსა და შპს ჯი დი აი კომპანიზე. 2022-2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის კაპიტალი არ შეცვლილა და კვლავ შეადგენს 19,836 ათას ლარს.

## 11. სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება

| | 31-დეკ-2022 | 31-დეკ-2021 |
|---|---|---|
| სავაჭრო კრედიტორული დავალიანებები | 169 | 116 |
| სხვა კრედიტორული დავალიანებები | 38 | 4 |
| **სულ სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება** | **207** | **120** |

## 12. საოპერაციო ხარჯები

| | 31-დეკ-2022 | 31-დეკ-2021 |
|---|---|---|
| კომუნალური ხარჯები | 1,367 | 1,128 |
| საგადასახადო ხარჯები | 259 | 294 |
| პროფესიული მომსახურებები | 138 | 930 |
| საიჯარო ხარჯი | 25 | 207 |
| ტექ. მომსახურების ხარჯები | 176 | 107 |
| დაცვის ხარჯები | 142 | 142 |
| შრომის უსაფრთხოება | 24 | 24 |
| დაზღვევა | 60 | 66 |
| სხვა | 171 | 147 |
| **სულ საოპერაციო ხარჯები** | **2,362** | **3,045** |

## 13. შემოსავალი

| | 31-დეკ-2022 | 31-დეკ-2021 |
|---|---|---|
| შემოსავალი რეალიზიციიდან | 9,661 | 11,828 |
| საგადასახადო მიზნებისათვის შემოსავალი | 2 | 14 |
| შემოსავალი საწყობის მომსახურებიდან | - | - |
| შემოსავალი შენახვის მომსახურებიდან | - | - |
| შემოსავალი ლოჯისტიკის მომსახურებიდან | - | - |
| კურსთა შორის სხვაობიდან მიღებული შემოსავალი | - | - |
| სხვა შემოსავლები | 177 | 112 |
| **სულ შემოსავლები** | **9,840** | **11,954** |

## 14. შრომის ანაზღაურება

კომპანიაში თანამშრომელთა უმრავლესობას აქვს ფიქსირებული ხელფასი, რომელიც გაანგარიშდება შესაბამისი შრომითი ხელშეკრულების მიხედვით. შრომის ანაზღაურება წარმოადგენს: 2021 წელი - 3,095 ათასი ლარი; 2022 წელი - 1,752 ათასი ლარი.

## 15. სესხები და კრედიტები

| | 31-დეკ-2022 | 31-დეკ-2021 |
|---|---|---|
| მოკლევადიანი სესხები | - | - |
| გრძელვადიანი სესხები | 17,961 | 19,529 |
| გადასახდელი პროცენტი | - | - |
| **სულ ნასესხები საშუალებები** | **17,961** | **19,529** |

სესხები წარმოადგენს Linnaeus Capital Partners B.V, შპს „ჯიდიაის“, სს „თიბისი ბანკისა“ და „საქართველოს ბანკში“ უცხოურ ვალუტაში არსებულ საკრედიტო ხაზს.

## 16. არამატერიალური აქტივები

| | 31-დეკ-2022 | 31-დეკ-2021 |
|---|---|---|
| ლიცენზიები | 30 | 30 |
| სხვა არამატერიალური აქტივები | 82 | 79 |
| **სულ არამატერიალური აქტივები** | **112** | **109** |

## 17. ფინანსური ხარჯი (შემოსავალი)

| | 31-დეკ-2022 | 31-დეკ-2021 |
|---|---|---|
| საპროცენტო ხარჯი | 2,304 | 1,888 |
| მოგება (ზარალი) საკურსო სხვაობიდან | (19) | - |
| **სულ ფინანსური ხარჯი (შემოსავალი)** | **2,285** | **1,888** |

## 18. გაუთვალისწინებელი ხარჯები, ვალდებულებები და ოპერაციული რისკები

### სამართალწარმოება

საკუთარ შეფასებაზე და პროფესიონალურ რჩევაზე დაყრდნობით კომპანიის მენეჯმენტი არ ელოდება რაიმე სახის მატერიალურ დანაკარგებს მოთხოვნებთან დაკავშირებით შესაბამისად ფინანსურ უწყისებში რეზერვის აღიარება და შენიშვნების გამოქვეყნება არ მიიჩნია მართებულად.

### საგადასახადო კანონმდებლობა

საქართველოს საგადასახადო და საბაჟო კანონმდებლობა ხშირად ექვემდებარება სხვადასხვანაირ განმარტებას და ცვლილებებს. მენეჯმენტის მიერ კანონის ინტერპრეტაცია, რომელის მიხედვითაც კომპანია საქმიანობს და ხელმძღვანელობს ტრანზაქციების გატარების დროს შესაძლებელია გახდეს შემოდავების საგანი საგადასახადო ორგანოთა მიერ. საქართველოს საგადასახადო ორგანოები კანონმდებლობის და გადასახადის დათვლის ინტერპრეტაციისას შეიძლება იღებდნენ უფრო კონკრეტულ და რთულ მიდგომას, ასევე შესაძლებელია, რომ ის ტრანსაქციები და ოპერაციები რაზეც წარსულში არ ყოფილა საგადასახადო ორგანოების მხრიდან დავა, მომავალში გახდეს დავის საგანი, რის შედეგადაც შეიძლება დაერიცხოს მნიშვნელოვანი მოცულობის დამატებითი გადასახადები, ჯარიმები და პროცენტები.
მენეჯმენტს მიაჩნია, რომ შესაბამისი კანონმდებლობის მათი ინტერპრეტაცია სწორია და კომპანიის გადასახადი, სავალუტო კანონმდებლობა და საბაჟო პოზიცია შენარჩუნდება შესაბამისად. აქედან გამომდინარე, 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არ მომხდარა პოტენციური საგადასახადო ვალდებულების რეზერვის აღიარება.

## 19. ფინანსური რისკის მართვა

კომპანიის რისკის მენეჯმენტის ფუნქციები იწარმოება, ფინანსური, საოპერაციო და იურიდიული რისკების მიხედვით. ფინანსური რისკი მოიცავს საბაზრო რისკს (მათ შორის სავალუტო რისკს საპროცენტო რისკს და სხვა საფასურთან დაკავშირებულ რისკებს), ასევე საკრედიტო რისკებს და ლიკვიდურობასთან დაკავშირებულ რისკებს. ფინანსური რისკის მართვის პირველადი ამოცანაა ჩამოაყალიბოს მისაღები რისკის ლიმიტები და შემდეგ უზრუნველყოს არსებული რისკების ამ ლიმიტების ფარგლებში დარჩენა. საოპერაციო და იურიდიული რისკ მენეჯმენტის ფუნქციები შედგენილია იმაზე გათვლით რომ მოხდეს შიდა პოლიტიკისა და პროცედურების სწორი წარმოება, რათა აცილებული იქნას თავიდან საოპერაციო და იურიდიული რისკები

### საბაზრო რისკი

კომპანია ექვემდებარება საბაზრო რისკებს, საბაზრო რისკები ჩნდება არა სამუშაო მდგომარეობაში ა) უცხოურ ვალუტებთან მიმართებაში ბ) საპროცენტო აქტივების და ვალდებულებები მიმართებაში გ) ფასიან ქაღალდებთან მიმართებაში, ყველა მათგანი დაუცველია ზოგადი და სპეციფიური საბაზრო ცვალებადობის მიმართ. მენეჯმენტი აწესებს მათთვის მისაღები რისკის შეფასების ლიმიტებს, რისკის მონიტორინგი ხდება ყოველდღიურად, თუმცა ეს მიდგომა ხელს ვერ შეუშლის დანაკარგების მიღებას როდესაც ბაზარზე მნიშვნელოვანი ცვალებადობის დროს რისკი ამ განსაზღვრულ საზღვრებს გასცდება.

მგრძნობიარობა ქვემოთ დასახელებულ საბაზრო რისკების გავლენაზე გამოყოფილია მხოლოდ ერთი ფაქტორის ცვლილებაზე გათვლით, როდესაც სხვა ფაქტორები რჩება მუდმივი. პრაქტიკაში კი მოვლენების ასეთი განვითარება ნაკლებად მოსალოდნელია ცვლილებები ზოგიერთ კოეფიციენტში კორელაციაშია ერთმანეთთან, მაგალითად ცვლილებები საპროცენტო განაკვეთში შესაძლებელია კორელაციაში იყოს სავალუტო კურსის ცვლილებებთან.

**სავალუტო რისკი**

სავალუტო რისკი არის რისკი რომ ცვლილებები სავალუტო კურსებში უარყოფითად შეიძლება აისახოს კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე. კომპანიას აქვს გარკვეული ტრანზაქციები უცხოურ ვალუტაში. კომპანია არ იყენებს დერივატივებს სავალუტო რისკის სამართავად, ამავდროულად კომპანიის მენეჯმენტი ცდილობს რისკების შემცირებას უცხოურ ვალუტაში არსებული ფულადი აქტივების და ვალდებულების კომპანიის დონეზე მართვით.

**ლიკვიდურობის რისკი**

ლიკვიდურობის რისკი წარმოადგენს რისკს, რომ კომპანია ვერ შეძლებს მის მიერ აღებული ფინანსური ვალდებულების, გასტუმრებას. კომპანიის აქვს ყოველდღიური მოთხოვნები მის ფულად რესურსებზე. მენეჯმენტი აკონტროლებს კომპანიის ფულადი ნაკადების უწყისის ყოველთვიურ ბიუჯეტს და ახდენს მის პროგნოზირებას.

კომპანიის ლიკვიდურობის პორტფელი მოიცავს ფულს და ფულის ექვივალენტებს (შენიშვნა 8) მენეჯმენტი ადგენს ფულის და საბანკო დეპოზიტების დაახლოებით ლიკვიდურობის პორტფელს გარდა შეზღუდული თანხებისა რომელთა გამოყენებაც შეიძლება ერთი დღის მანძილზე რათა მოხდეს წინასწარ განუსაზღვრელი ლიკვიდურობის მოთხოვნების დაკმაყოფილება.

ქვემოთ მდებარე ცხრილში მოყვანილია კომპანიის ვალდებულებები 31 დეკემბრის 2022 და 2021 წლების მდგომარეობით დარჩენილი საკონტრაქტო ღირებულებით. თანხები რომლებიც მოცემულია ვადების ცხრილში წარმოადგენ საკონტრაქტო არადისკონტირებულ ფულად ნაკადებს. ამგვარი არა დისკონტირებული ფულადი ნაკადები განსხვავდება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაზე არსებულ ნაშთებისგან რადგან მასში ნაშთები წარმოდგენილია დისკონტირებული ღირებულებით. გადახდები უცხოურ ვალუტაში გადაყვანილია მიმდინარე კურსით საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს.

ფინანსური ვალდებულებების ვადების ანალიზი 31 დეკემბრისთვის 2022 - 2021 წლებში მოცემულია ქვემოთ მოცემულ ცხრილში:

| **დეკემბერი 2022**<br>**ფინანსური მაჩვენებლები** | **1 წლამდე** | **1-5 წლამდე** | **5 წელზე მეტი** | **სულ** |
|---|---|---|---|---|
| სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება | 1,314 | - | - | 1,314 |
| ნასესხები საშუალებები | - | 17,961 | - | 17,961 |
| სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება | 207 | - | - | 207 |
| **სულ ფინანსური მაჩვენებლები** | **799** | **19,529** | **-** | **20,328** |

| **დეკემბერი 2021**<br>**ფინანსური მაჩვენებლები** | **1 წლამდე** | **1-5 წლამდე** | **5 წელზე მეტი** | **სულ** |
|---|---|---|---|---|
| სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება | 679 | - | - | **679** |
| ნასესხები საშუალებები | - | 19,529 | - | **19,529** |
| სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება | 120 | - | - | **120** |
| **სულ ფინანსური მაჩვენებლები** | **799** | **19,529** | **-** | **20,328** |

### კაპიტალის მართვა

კაპიტალის მართვას აწარმოებენ კომპანიის მფლობელები იმის და მიხედვით თუ როგორი მოთხოვნები აქვთ მათ კაპიტალის ოპტიმალურ სტრუქტურასთან დაკავშირებით. კომპანია აწარმოებს კაპიტალის სტრუქტურის მართვას მხოლოდ იურიდიული მოთხოვნების გამო იმ იურისდიქციის ფარგლებში სადაც ის ოპერირებს.

## 20. ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება

სამართლიანი ღირებულება განისაზღვრება იმ თანხის რაოდენობით, რა თანხადაც შესაძლებელია ფინანსური ინსტრუმენტის გაცვლა/რეალიზაცია მიმდინარე ანგარიშსწორებისას თანაბარი ინფორმაციის მქონე და ნებაყოფლობით მხარეებს შორის გაშლილი ხელის მანძილის პრინციპით. გარდა სალიკვიდაციო ან ძალდატანებითი გაყიდვის ტრანზაქციებისა.

აქედან გამომდინარე ქვემოდ წარმოდგენილი შეფასებები აუცილებლად არ მიუთითებს იმ თანხას, რომელის მიღებაც შეუძლია კომპანიას, რომელიმე ფინანსური ინსტრუმენტის ბაზარზე მისი აქტივების სრული რეალიზაციისას შემთხვევაში.

კომპანიის ბალანსზე არსებული ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი და საბალანსო ღირებულებების შედარება იხილე ქვემოთ მოცემულ ცხრილში :

| | 31-დეკ-2022 საბალანსო ღირებულება | სამართლიანი ღირებულება | 31-დეკ-2021 საბალანსო ღირებულება | სამართლიანი ღირებულება |
|---|---|---|---|---|
| ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები | 758 | 758 | 1,217 | 1,217 |
| სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება | 1,314 | 1,314 | 679 | 679 |
| სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება | 207 | 207 | 120 | 120 |
| გრძელვადიანი სესხი | 17,961 | 17,961 | 19,529 | 19,529 |
| | 758 | 758 | 1,217 | 1,217 |

## 21. ნაშთები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებული მხარეები ან ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან, როგორც განსაზღვრულია IAS 24 -ით „შენიშვნები დაკავშირებული მხარეების შესახებ“, წარმოადგენს :

(a) მხარეები, რომლებიც პირდაპირ ან ირიბად ,ერთი ან მეტი შუამავალის მეშვეობით: აკონტორლებსან კონტროლდება, ან არის საერთო კონტროლის ქვეშ დაქვემდებარებული კომპანია (მათ შორის, მშობლები, შვილობილი კომპანიები და თანამზრახველები); ფლობს წილს კომპანიში, რომელიც აძლევს მნიშვნელოვანი გავლენის შესაძლებლობას და რომელსაც აქვს კომპანიაზე ერთობლივი კონტროლი;

(b) პარტნიორი საწარმო - საწარმოები, რომლებზეც კომპანიას აქვს მნიშვნელოვანი გავლენა და რომელიც არ არის არც შვილობილი კომპანია და არც ერთობლივ საწარმო.

(c) ერთობლივი საწარმოები, სადაც კომპანია წარმოადგენს საწარმოს;

(d) კომპანიის ან მისი მშობლის მმართველი პერსონალი.

(e) ოჯახის ახლო წევრები, რომელიც ნახსენებია (ა) ან (დ)-ში;

(f) მხარე, რომელიც კონტროლდება, ერთობლივად კონტროლდება ან განიცდის მნიშვნელოვან გავლენას, ან რომელზეც მნიშვნელოვანი ხმის უფლება აქვს, პირდაპირ ან ირიბად, (დ) ან (ე)-ში ნახსენებ ინდივიდუალებს.

(g) დასაქმების შემდგომი შეღავათების სისტემა თანამშომელბისთვის ან მხარისთვის, რომელიც არის დაკავშირებული კომპანია.

შემდგომი ოპერაციები განხორციელდა დაკავშირებულ მხარეებთან:

| მენეჯმენტის ანაზღაურება | 2022 | 2021 |
|---|---|---|
| ხელფასი და სხვა თანამშრომელთა მოკლევადიანი სარგებელი | 135 | 846 |
| **სულ** | **135** | **846** |

ბასს 24-ის შესაბამისად, კომპანია თავისუფლდება დაკავშირებულ მხარეებთან ინფორმაციის გამჟღავნების მოთხოვნისგან, რადგან შესაბამისი ტრანზაქციები და ვალდებულებები ეხება სახელმწიფოს, რომელიც აკონტროლებს ან ერთობლივად აკონტროლებს ანგარიშვალდებულ საწარმოს, ან მნიშვნელოვანი გავლენა აქვს ანგარიშვალდებულ საწარმოზე.

## 22. საქმიანობის უწყვეტობა

კომპანიის ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაცვით. ბუღალტრული აღრიცხვის ამ პრინციპის გამოყენება შესაფერისია თუ ხელმძღვანელობას არ აქვს განზრახული კომპანიის ლიკვიდაცია ან ოპერაციების შეწყვეტა, ან არ აქვს ასე მოქცევის რეალური ალტერნატივა. ფინანსური ანგარიშგების აუდიტის ფარგლებში, ჩვენ დავასკვენით, რომ ამ ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობის მიერ ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის გამოყენება არის შესაფერისი.

საანგარიშო პერიოდებში კომპანიას აქვს დადებითი EBITDA, ისევე როგორც წმინდა მოგება, კომპანია გაუმჯობესებულია წინა წელთან შედარებით და დაგროვილი ზარალის ოდენობა მცირდება. კომპანიას აქვს საკმაოდ კარგი ბიზნესის პერსპექტივები.

ხელმძღვანელობას არ მოუხდენია ისეთი არსებითი გაურკვევლობის იდენტიფიცირება, რაც წარმოქმნიდა მნიშვნელოვან ეჭვებს, რომ კომპანია ვერ შეძლებდა ყოფილიყო ფუნქციონირებადი საწარმო.

## 23. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ მომხდარი მოვლენები

ეს ფინანსური ანგარიშგება დამტკიცდა გამოსაშვებად ჯგუფის ხელმძღვანელობის მიერ 2023 წლის 28 სექტემბერს. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ დასკვნის გაშვებამდე გარდა ქვემოთ მოცემული საკითხებისა, მნიშვნელოვანი მოვლენები არ დაფიქსირებულა.

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ ადგილი არ ჰქონია ისეთ მოვლენებს, რომელიც მოითხოვს განმარტებით შენიშვნებში აღნიშვნას ან მოითხოვს ფინანსური ანგარიშგების კორექტირებას.

**სს „ლილო 1“ 2022 წლის ინდივიდუალური მმართველობის ანგარიშგება**

**21 სექტემბერი, 2023 წელი**

**შესავალი**

კომპანია არის დამოუკიდებელი მესამე მხარე, რომელიც არ მონაწილეობს საკუთარ იმპორტის, ექსპორტის ან სხვა სახის ლოჯისტიკურ ოპერაციებში, რაც გამორიცხავს ინტერესთა კონფლიქტს თავის კლიენტებთან და უზრუნველყოფს კლიენტის ინფორმაციის კონფიდენციალობის დაცვას.

**კომპანიის სტრატეგიული მიზნები**

მომდევნო საანგარიშგებო პერიოდისთვის კომპანია გეგმავს შემდეგი საკითხების შემუშავებას/ განვითარებას / შესრულებას:

- კვლავაც აქტუალური რჩება სასაწყობო სივრცეების მოცულობის გაზრდა რისთვისაც იგეგმება 12,000 კვ.მ რეკონსტრუქცია და მოდერნიზება.
- კომპანია აგრძელებს ადაპტირებას მომხმარებელთა ქცევის ცვალებადობასთან, მიწოდების ჯაჭვის შეფერხებასთან და ელექტრონული კომერციის მზარდ ცნობადობასთან, გაძლიერდა ეფექტური სასაწყობო სივრცის საჭიროება.
- იგეგმება თანამედროვე, ეფექტური ტექნოლოგიების დანერგვა, რაც კიდევ უფრო გაზრდის ამგვარ სასაწყობო სივრცეებზე მოთხოვნას და რისთვისაც დაინტერესებული მომხმარებლები მზად არიან გადაიხადონ პრემია.
- იმის გამო, რომ ბიზნესები პრიორიტეტულად უპირატესობას ანიჭებენ ეფექტურობას, მოწინავე ტექნოლოგიებს და სტრატეგიული მდებარეობას, ისინი მზად არიან გადაიხადონ მეტი სასაწყობო სივრცეების იჯარაში, რომლებიც დააკმაყოფილებენ ამ საჭიროებებს.

**კომპანიის ძირითადი არაფინანსური ინდიკატორები**

გარემოზე ზემოქმედება

კომპანია უზრუნველყოფს ნარჩენების მოცილების პროცედურების შესრულებას თბილსერვის ჯგუფის მიერ. კომპანია არ ახორციელებს საქმიანობებს, რომელმაც შესაძლოა უარყოფითი ზემოქმედება მოახდინოს გარემოზე. შრომითი უსაფრთხოება თანამშრომლების რაოდენობა სს „ლილო 1“-ში საშუალოდ შეადგენს 86-ს. კომპანიის მიზანია სამრეწველო ინციდენტების ნულოვანი დონის შენარჩუნება. ჯანდაცვა და უსაფრთხოება - თუ კომპანია თავის თანამშრომლებს უმაღლეს პრიორიტეტს ანიჭებს. პერსონალს უტარდება პერიოდული ტრენინგი შემდეგ საკითხებზე: ტექნიკური მოწყობილობის ოპერაციები, შრომის უსაფრთხოების და ხანძრის პრევენციის ზომები, ასევე სწავლობენ პირველადი დახმარების აღმოჩენის საკითხებს. პერსონალი დაიშვება სამუშაო ადგილზე მისი კვალიფიკაციის და უსაფრთხოების ჯგუფის სტატუსის შესაბამისად. კომპანიას აქვს ჯანმრთელობის დაზღვევა კომპანიისგან - „არდი“- თითოეული თანამშრომლისთვის. შრომის უსაფრთხოების სტანდარტების დაცვის მიზნით, კომპანიამ დანიშნა თავისი თანამშრომელი შრომის უსაფრთხოების ინსპექტორის სახით. 17.03.2023 წელს შრომის უსაფრთხოების ინსპექტორმა გაიარა ტრენინგები “IOSH (სამუშაოების წარმოების უსაფრთხოების უზრუნველყოფის ინტეგრირებული სისტემა) უსაფრთხოების მართვა. კომპანიის ძირითადი ფინანსური ინდიკატორები კომპანიის წმინდა

LLCM 1 Logistic Center 206268741

მოგება 2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის კომპანიის წმინდა მოგებამ შეადგინა 1,924 ათასი ლარი, ხოლო 2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის შესაბამისად შეადგენდა 1,220 ათას ლარს. მომგებიანობის მაჩვენებლების გაუმჯობესების მიზნით, კომპანია ორიენტირებულია კლიენტების რაოდენობის ზრდაზე და საოპერაციო ხარჯების ოპტიმიზებაზე.

**არსებული რისკების მართვა**

კომპანიის ხელმძღვანელობა იღებს ყველა პასუხისმგებლობას კომპანიაში რისკის მართვის სტრუქტურის ზედამხედველობაზე. რისკის მართვის პოლიტიკა სტრუქტუირებულია იმგვარად, რომ დაადგინოს, გაანალიზოს შესაბამისად მინიმუმამდე დაუყვანოს, უზრუნველყოს კონტროლის და შეინარჩუნოს შეზღუდვები კომპანიის მიმდინარე რისკებზე. რისკის მართვის პოლიტიკა და სისტემა განიცდის რეგულარულ მოდიფიკაციებს ბაზრის პირობებთან და კომპანიის საქმიანობების ცვლილებებთან შესაბამისობისთვის. ტრენინგების და მართვის სტანდარტების და პროცედურების გამოყენებით, კომპანიის მიზანია დისციპლინირებული და კონსტრუქციული კონტროლის გარემოს შექმნა, სადაც ყველა თანამშრომელი ინფორმირებულია საკუთარი ადგილის და ვალდებულებების შესახებ სისტემაში. კომპანიის კლიენტების მნიშვნელოვანი ნაწილი მოიცავს მსხვილი და საშუალო ზომის კომპანიებს. საქართველოს ეკონომიკის განვითარებას და ლოგისტიკის მომსახურებების პორტფელის კონსოლიდაციას, რომელიც მიღებულია კომპანიის კლიენტების მიერ, დადებითი ზემოქმედება აქვს კომპანიის შემოსავლების ზრდაზე.

**საკრედიტო რისკი**

საკრედიტო რისკი არის ფინანსური ზარალის რისკი, რომელიც დაკავშირებულია შემთხვევებთან როდესაც კლიენტი არ ასრულებს კომპანიის მიმართ თავის ვალდებულებებს დროულად. ასეთი შემთხვევები ძირითად გამომდინარეობს კომპანიის საკრედიტო ვალდებულებებისგან კლიენტის მიმართ და საბანკო ნაშთებისგან. ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება არის მაქსიმალური საკრედიტო რისკი.

**ლიკვიდობის რისკი**

მკაცრი კონტროლი დანახარჯებზე, ბიუჯეტის ზედამხედველობა, როდესაც ხარჯები ფასდება მკაცრად ბიუჯეტის დოკუმენტში განსაზღვრული ინდიკატორების შესაბამისად, ხოლო მითითებული ლიმიტები შეიძლება შეიცვალოს საბიუჯეტო დოკუმენტში ასახული შემოსავლის პროგნოზების შეუსრულებლობის შემთხვევაში. ლიკვიდობის რისკი არის რისკი, რომ კომპანია ვერ ასრულებს თავის ვალდებულებებს ფინანსურ ვალდებულებებთან დაკავშირებით, რომელიც შეიძლება გადაწყდეს ფულის გადარიცხვით ან სხვა ფინანსური აქტივებით. კომპანიის მიდგომის მიზანი ლიკვიდობის მართვაზე არის საკმარისი ლიკვიდობა გადახდის პერიოდში დაწესებული მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად, როგორც ჩვეულებრივ, ასევე სტრესულ სიტუაციაში და პრობლემის გადაჭრა მიუღებელი ზარალის ან კომპანიის რეპუტაციაზე უარყოფითი გავლენის მოხდენის გარეშე.

კომპანია მართვას ლიკვიდობის მოთხოვნებს როგორც მოკლევადიანი, ასევე გრძელვადიანი გეგმების გამოყენებით. ხელმძღვანელობა რეგულარულად აკონტროლებს კომპანიის ფულადი სახსრების პროგნოზებს ყოველთვიურად. თავისი მფლობელების მონაწილეობით კომპანიამ შეიმუშავა წლიური საბიუჯეტო პროცესი. ბიუჯეტი გადაიხედება სამეთვალყურეო საბჭოს მიერ

LLCM 1
Logistic Center
206268741

და დამტკიცებულია მფლობელის მიერ. ბიუჯეტი ნახლდება ყოველთვიურად ფაქტობრივი შედეგების გათვალისწინებით. კომპანიის მიზანია შეინარჩუნოს ფულის და ფულის ექვივალენტურობის დონე, რომელიც აღემატება მოსალოდნელ ფულადი სახსრების გადინებას ფინანსურ ვალდებულებებზე მომდევნო 60 დღის განმავლობაში.

**სავალუტო რისკი**

ანგარიშგების პერიოდის განმავლობაში განხილულ რისკებს შორის ვალუტის რყევა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი რისკია. ეს გარემოება მნიშვნელოვან გავლენას ახდენს გრძელვადიან პროექტებზე და შესაძლოა უარყოფითი გავლენა მოახდინოს ფასებზე სასაწყობე ბაზარზე. სავალუტო რისკის შესაძლო უარყოფითი ზემოქმედება არის ის, რომ კომპანიის ხარჯების მნიშვნელოვანი ნაწილი და ბანკის კრედიტი დენომინირებულია ლარში.

სავალუტო რისკი არის რისკი, რომელიც უკავშირდება ფინანსური ინსტრუმენტების სავალუტო გაცვლითი კურსის რყევებს, რაც შესაძლოა წარმოიქმნას სავალუტო გაცვლითი კურსის ცვლილებების შედეგად.

2022 წელს ვალი დენომინირებულია აშშ დოლარში, შემოსავლის მთავარი ნაწილი ასევე დენომინირებულია აშშ დოლარში, რამაც შესაძლოა მინიმუმამდე დაიყვანოს სავალუტო რისკი.

LLC 1 Logistic Center 206268741